



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაჰეში საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

הנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ივლისი
(თამაზი)
1-15
№13 (346)
(5771)
2011

„הנורה“
עיתון יהודי
בגוריה

სემ კონგრესის დაფინანსებით

საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“ საკმაო ხანია ამზადებს გადაცემათა ციკლს „დრო და ტრადიციები“. ეს გახლავთ საავტორო გადაცემა ჟურნალისტ ნინო ყოლანდარიასი.

ამას წინათ „ერთსულოვნებამ“ სწორედ „დრო და ტრადიციების“ რუბრიკით დაიწყო გადაცემების სერია ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე. ჟურნალისტი ნ. ყოლანდარია და ოპერატორი მ. მანდარია გვიამბობენ ქართველ ებრაელთა მრავალსაუკუნოვან ცხოვრებაზე საქართველოში.

გადაღებები მიმდინარეობდა ისრაელსა და საქართველოში. „ერთსულოვნებამ“ ეთერში უკვე სამი გადაცემა გამოუშვა (გადაცემები მეორდება ყოველ მომდევნო კვირას), მეოთხე ნაწილი ნაჩვენებია იქნება 10 ივლისს.

ნ. ყოლანდარია ამბობს:

— შევეცადე მეჩვენებინა ქართველთა და ებრაელთა ისტორიული ძმობა-მეგობრობა. გამოძახილი დადებითია. ახლა გატაცებული ვარ ფილმით, რომელსაც ეს გადაცემები უძღოდა. ფილმს ვამზადებ და სექტემბერში გამოვა ეთერში, გადაცემის ტიტრებში აღვნიშნე და კიდევ ერთხელ მიინდა ფინანსური მხარდაჭერისთვის გულწრფელი მადლობა მოვახსენო საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტს გაბრიელ მირილაშვილს, სწორედ მისი მეშვეობით მოხერხდა ჩემი ჩანაფიქრის ხორც-შესხმა.

მინიმალური ხელფასი ბაიზარდა

ისრაელში მინიმალური ხელფასი 1 ივლისიდან 4100 შეკელამდე გაიზარდა. აქამდე იგი 3890 შეკელს შეადგენდა.

ცვლილება აგვისტოს დასაწყისში შევა ძალაში. მოსალოდნელია, რომ 2012 წლის ოქტომბერში მინიმალური ხელფასი კიდევ 200 შეკელით მოიმატებს.

გადანწყვეტილება მინიმალური ხელფასის გაზრდის შესახებ 8 მაისს იქნა მიღებული. იგი ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შემდეგ მიიღეს. ახალი შესწორების მიხედვით მინიმალური ხელფასი საშუალო ხელფასის 47,5% უნდა შეადგენდეს.

საქართველოს ებრაელთა მთლიან კონგრესის ახალგაზრდობის სექსია

როგორც ცნობილია, 16 მაისს თელ-ავივში, პერესის ცენტრში ჩატარდა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის გაბრიელ მირილაშვილის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

ლონისძიებათა პროგრამით გათვალისწინებული იყო სემკ-ის ჩარჩოებში საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ახალგაზრდული სექციის პრეზენტაცია.

საამისოდ მიმდინარეობდა წინასწარი სამუშაოები. სემკ-ის პრეზიდენტმა გაბრიელ მირილაშვილმა საზეიმოდ გამოაცხადა ახალგაზრდული კონგრესის დაფუძნება და დამსწრეთ წარუდგინა მისი პრეზიდენტი — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი, ამავე ინსტიტუტის ებრაული კლუბის პრეზიდენტი ისაკ ბენ-ელი (ელაშვილი).

მან დაახასიათა იგი, როგორც დიდი ნიჭისა და პოტენციალის ახალგაზრდა მოღვაწე, თავისი თაობის გამოკვეთილი ლიდერი, რომელსაც შეუძლია ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთოს თავისი ხალხისა და ქვეყნისათვის.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნულ, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ინსტიტუტში („რუსეთის ჰარვარდი“ — ჰენრი კისინჯერი), სადაც მოხვედრაზე სულ რამდენიმე ხნის წინ ებრაელს ოცნებაც კი არ შეეძლო, დღეს არა მარტო ყველაზე წარმატებული ებრაელი სტუდენტები, არამედ ყველაზე წარმატებული ებრაული კლუბიც არსებობს. იგი რუსეთის საუკეთესო სტუდენტურ კლუბადაა მიჩნეული... ისაკ ბენ ელიმ თავის გამოსვლის პირველი ნაწილი დაუთმო ებრაული კლუბის საქმიანობის აღწერას, ილაპარაკა იმ ნაყოფიერ მუშაობაზე, რასაც ის და მისი მეგობრები ეწევიან ებრაულ ახალგაზრდულ ფრონტზე.

სწორედ ამ აქტიური მოღვაწეობისთვის შეაჩერა სემკ-ის პრეზიდენტმა თავისი არჩევანი ისაკ ბენ-ელიზე (ელაშვილზე). „მე დიდი პატივისცემით

როგან გახდით ისრაელის პრეზიდენტი

ვივლისს საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების დარბაზში ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ისრაელში და სომხეთში საქართველოს ყოფილი ელჩის, პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძის წიგნის — „ჩემი XX საუკუნე“ მეორე ტომის წარდგინება (ამ წიგნის პირველი ტომი ორიოდე წლის წინ გამოვიდა). საღამოს უძღვებოდა გეოგრაფიის პროფესორი იოსებ სალუქვაძე.

ქართული ენციკლოპედიის მთავარმა რედაქტორმა ზურაბ აბაშიძემ, ამერიკელმა ქართველოლოგმა სტივენ ჯონსმა, აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ, ექსპერტმა საერთაშორისო საკითხებში ალექსანდრე რონდელმა, მწერალმა, დრამატურგმა გურამ ბათიაშვილმა, ეკოლოგიის პროფესორმა გიზო ურუშაძემ, პოლიტოლოგმა დავით დუნდუამ, შთამბეჭდავად ისაუბრეს წიგნის შესახებ. მაღალი შეფასება მისცეს რ. გაჩეჩილაძის ამ ნაშრომს და აღნიშნეს, რომ ეს არის დოკუმენტური პროზის საუკეთესო ნიმუში. წიგნში შესაშური სიღრმით, ბევრისმომცველი ანალიზით არის განხილული პოსტსტალინური საქართველოს საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური ყოფა, ხოლო 90-იანი წლების საქართველოში განვითარებული მოვლენები პატიოსანი მკვლევარის მიერ არის შეფასებული.

თავად რევაზ გაჩეჩილაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას პროფესიული საუბრისათვის, აღნიშნა დროის მთავარი პრიორიტეტები.

ვარ გამსჭვალული გაბრიელ მირილაშვილის მიმართ, მთელი იმ საქმიანობისთვის, რასაც იგი ეწევა კონგრესისთვის და დიდი სიამოვნებით მივიღე ეს შემოთავაზება — თქვა თავის გამოსვლაში ისაკ ბენ-ელიმ (ელაშვილმა). შემდეგ იგი შეეხო სამომავლო გეგმებს და აღნიშნა: „ჩვენ, არსებითად, უნდა ვიზრუნოთ არა მხოლოდ ქართველი, არამედ ყველა ებრაელი ახალგაზრდისათვის. ჩვენს სანესდებო განაცხადშიც ეს პუნქტი საგანგებოდ არის ხაზგასმული: „ქართველი ებრაელი ახალგაზრდების მსოფლიო კონგრესის თანმიმდევრული ინტეგრაცია სხვა ებრაული ორგანიზაციების სათემო საქმიანობაში... ჩვენი ახალგაზრდული კონგრესი შეიძლება სამაგალითო გახდეს მთელი ებრაელი ახალგაზრდობისთვის ჩვენი ერთიანობით და ერთმანეთისათვის განუწყვეტელი ზრუნვით... უნდა გავყვეთ ჩვენი მამების კვალს, დავიცვათ ყველა ტრადიცია, რელიგიური წესები და ჩვეულებები და ამავე დროს წარმოვაჩინოთ ჩვენი მონიწივე ახალგაზრდობა...“



დასასრულს ისაკ ბენ-ელიმ (ელაშვილმა) წარმოადგინა ფართო სამოქმედო პროგრამა, დამსწრეთ გააცნო კონგრესის წესდების სავარაუდო მონახაზი, ერთხელ კიდევ მიულოცა გაბრიელ მირილაშვილს საიუბილეო თარიღი, მადლობა გადაუხადა გამოცხადებული ნდობისათვის და აღუთქვა, რომ ყველაფერს ილონებს იმისათვის, რომ იყოს კონგრესის პირველი პრეზიდენტი — დაუფინანსარი მოშე (მიშიკო) მირილაშვილის საქმის ერთგული მიმდევარი.

კონგრესის ვიცე-პრეზიდენტად წამოყენებულია დავიდ პელეგის (პარლ-აგაშვილის) კანდიდატურა, რომელიც იმავდროულად გახლავთ ზემოთქმული ინსტიტუტის ებრაული კლუბის დამფუძნებელი და საპატიო პრეზიდენტი.

ორატორის გამოსვლა დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მათ მიულოცეს ისაკ ბენ-ელის (ელაშვილის) საქართველოს ებრაელი ახალგაზრდობის მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის მეტად საპატიო თანამდებობა და წარმატებები უსურვეს მას ახალ სარბიელზე.

სააკაშვილის წარმომადგენელი: საქართველოში საქართველო ისრაელს მხარს დაუჭირს

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ელენე თევდორაძემ პორტალ „izrus“ განუცხადა, რომ ისრაელელი ბიზნეს-მენები, რომლებსაც საქართველოში გრძელვადიანი პატიმრობა მიუსაჯეს, ახლა შეტანილი აპელაციის პასუხს ელოდებიან, ელენე თევდორაძე საქართველოს რეინტეგრაციის საკითხებში მინისტრის მოადგილე და პარლამენტში ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე იყო, ახლა კი ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მუშაობს და შეწყალების კომისიას ხელმძღვანელობს.

ამ კვირას ისრაელში, მსოფლიო ებრაული კონგრესის მიწვევით, მსოფლიოს 22 ქვეყნის ებრაული წარმომადგენლის 50 პოლიტიკოსი იმყოფებოდა. საქართველოს წარმომადგენლის სიტყვებით, იგი თანაბრად გრძნობს თავს როგორც ებრაელად, ასევე — ქართველად, რადგან დედამისი ებრაელი, ხოლო მამამისი ქართველია.

თევდორაძემ ისრაელისა და პალესტინის ურთიერთობის შესახებ საქართველოს პოზიციებზე ისაუბრა. „საქართველოს პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვანი და ისრაელისთვის სასარგებლოა. საქართველოსაც იგივე ტვივილი აქვს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივად აღიარების გამო. დღეს საქართველოს ეს ტერიტორია რუსეთის არმიის მიერაა ოკუპირებული“, — აღნიშნა „izrus“-თან მან. მისი სიტყვებით, ამ თემასთან დაკავშირებით ისრაელიდან მას ბევრი სერიოზული მასალები მიაქვს, რათა პარლამენტსა და საქართველოს მთავრობაში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში, წარადგინოს ზუსტი სურათი იმისა, თუ რა ხდება ისრაელისა და პალესტინის ურთიერთობის საკითხში.

რაც შეეხება ფუქსისა და ფრენკელის შეწყალების საკითხს, თევდორაძემ განაცხადა: „ჩემთვის ცნობილია, რომ ამ საქმეზე აპელაცია შეტანილი. ახლა საჭიროა საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას დაველოდოთ, და უკვე ამის შემდეგ დადგება საკითხი შეწყალების შესახებ. მე, როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარე და მთელი ჩემი კომისია, დაკავებულების სასარგებლოდ ყველანაირ ინსტრუმენტს გამოვიყენებთ. საბოლოო სიტყვა, რა თქმა უნდა, პრეზიდენტმა უნდა თქვას“.



რაც შეეხება ისრაელელთა კონტაქტებს აფხაზეთის მთავრობასთან, და ასევე ისრაელში სამხრეთ ოსეთის მთავრობის დელეგაციის ვიზიტს, ელენე თევდორაძე არ მალავს, რომ ამ საკითხს საქართველოში მტკივნეულად იღებენ. „ჯერ განგაშს არ ვტყვით, რადგან საუბარი ოფიციალური ისრაელის წარმომადგენლებზე არაა“, დასძინა ჩვენმა თანამოსაუბრემ.

როდის დაიღო ებრაელ ბიზნესმენებთან ყბაღაღბული ხელშეკრულება?

ებრაელი ბიზნესმენების დაკავების მიზეზი ბურუსითაა მოცული. რატომ გაეხვია ოფიციალური თბილისი „ნებით“ საერთაშორისო სკანდალში? რატომ არ არის საზოგადოებისთვის ცნობილი ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების დეტალები, რომლის თანახმადაც საქართველოს კომპანია „ტრამექსის“ სასარგებლოდ 97 მილიონის გადახდა დაეკისრა? რატომ ვერ (ან არ) შეასრულა „ტრამექსმა“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ვიდრე ხელშეკრულებას გაუუქმებდნენ და რის გამო შეიტანა სასამართლოში სარჩელი საქართველოს წინააღმდეგ 10 წლის დაგვიანებით? — უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს, რომელთა საპასუხოდ „კვირის პალიტრა“ განსხვავებული მოსაზრებები მოისმინა.

დარღვეული შეთანხმება?!

გავრცელებული ინფორმაციით, „ტრამექსმა“ ჯერ კიდევ 1991 წელს განიზარანა მილსადენზე რუსული მენეჯმენტი, მაგრამ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს ეს უფლებამოსილება ვერ მიიღო. „ტრამექსმა“ ოფიციალურ თბილისთან ხელშეკრულება მხოლოდ მაშინ გააფორმა, როცა ქვეყანას სამხედრო საბჭო მართავდა, არც პრეზიდენტი გვყავდა და არც საპარლამენტო არჩევნები იყო დანიშნული. კომპანიამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულა. ამის მიზეზად ქვეყანაში და საზოგადოება, კავკასიაში არეულობა დასახელდა. 1996 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველოში „ბი-პი“ შემოვიდა, საქართველოს ხელისუფლებამ „ტრამექსთან“ ხელშეკრულება განყვიტა, რის გამოც „ტრამექსის“ მენილეებმა საქართველოს სახელმწიფოს ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივლეს. რაც უნდა გასაკვირი იყოს, სარჩელი 2006 წელს, ხელშეკრულების განყვიტიდან 10 წლის შემდეგ შეიტანეს, პროცესი მოიგეს და 2010 წლის თებერვალში საქართველოს 97 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება არ ამბობს იმ მიზეზს, რის გამოც წააგო სასამართლო პროცესი, როცა საქმის მოგებისთვის არაერთი კოზირი ჰქონდა.

„გამსახურდია რონი ფუქსს რუსეთის აგენტს ეძახდა“
ყურნალისტი ლილა კვიციანი საქართველოში ებრაელი ბიზნესმენების ჩამოსვლის პიროველ დღეებს იხსენებს:

„1991 წლის 13 აგვისტო იყო. მე და ჩემი ოპერატორი მალთაყვაში ჩავედით. 16 აგვისტომდე წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატი უნდა ჩატარებულიყო. ვიცოდით, რომ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაც იქ იქნებოდა. მაშინ სატელევიზიო გადაცემის „პრეზიდენტის საათის“ ავტორი და წამყვანი ვიყავი. მოკლედ, გავიგე, რომ ჩასული იყვნენ ებრაელი ბიზნესმენები. მე და ჩემმა ოპერატორმა ზვიად გამსახურდიასთან მათი შეხვედრის კადრები გადავიღეთ. მათ შორის საუბარი დახურულ კარს მიღმა გაიმართა. მასხოვს, თბილისში გაზრდილმა ეფრაიმ გურიმ წარუდგინა პრეზიდენტს რონი ფუქსი. შეხვედრას ესწრებოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა და საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია. რამდენიმე ხანში ზვიად გამსახურდიამ მოულოდნელად დატოვა მოლაპარაკება და ყურნალისტები ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციაში დაგვიბარა. აღელვებული ჩანდა. ბობოყვათის რეზიდენციაში ებრაელ ბიზნესმენებს აფერისტები და კრემლის აგენტებიც კი უნდა. ამ ამბიდან ორ დღეში ზვიად გამსახურდიამ თენგიზ სიგუა და გოგი ხოშტარია თანამდებობიდან გაათავისუფლა.“

საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია დაიძაბა. სიგუა და ხოშტარია საპროტესტო აქციებზე იმასაც გაიძახოდნენ, გამსახურდიამ ებრაელ ბიზნესმენებს საქართველოში ინვესტიციების განხორციელებაში ხელი შეუშალაო.

გამსახურდიას ზოგიერთმა ურჩია, არ შეიძლება რონი ფუქსის და მისი პარტნიორების განაყენება, მათ შეუძლიათ ოპოზიციის დაფინანსება და სამხედრო გადატრიალებისთვის ხელის შეწყობა. გამსახურდია იძულებული გახდა, ბიზნესმენებს ისევ შეხვედროდა, მაგრამ ურთიერთობა უმთავრესად ნიადაგის მოსინჯვისა და წინასწარი მოლაპარაკების დონეზე ჰქონდათ. გადაწყვეტილების მიღებას პრეზიდენტი შეგნებულად აფერხებდა.

ერთხელ ზვიად გამსახურდიამ ინტერვიუს დროს მითხრა: „ტრამექს“ კონტრაქტის გაფორმება უნდა, რომ ჩეჩნეთიდან და ბაქოდან ჩვენი ტერიტორიის გავლით სხვა ქვეყნებში ნავთობი გაიტანოსო.

იმხანად დუდაევის ხელისუფლება მართავდა ჩეჩნეთს და კავკასიელებს იმედი ჰქონდათ, რუსეთის უღლისაგან გავთავისუფლებდითო.

სწორედ ამიტომ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები გროზნოდან ნავთობის გამოტანაზე. საქართველოში დიდი ტერმინალი უნდა გაკეთებულიყო, ჩვენს ქვეყანას თავისი წილი ნავთობი ექნებოდა. მაგრამ გამსახურდიამ ჩათვალა, რომ რუსეთი ებრაელი ბიზნესმენების ხელით ცდილობდა ენერგომატარებელზე გავლენის შენარჩუნებას.

ეს თქვა კიდევ ინტერვიუში, მაგრამ მოგვიანებით მთხოვა, ეს მონაკვეთი ტელეეთერში არ გაუშვათო. მერე კი მალე სამხედრო გადატრიალება მოხდა და ქვეყნის სათავეში მოვიდა სამხედრო საბჭო, არალეგიტიმური ორგანო, რომლის დანიშნულ მინისტრებსაც „ტრამექსთან“ ხელშეკრულების დადების უფლება არ ჰქონდათ. „დოკუმენტს“ ხელი 1992 წლის 3 მარტს მოაწერეს, ვიდრე შევარდნაძე საქართველოში ჩამოვიდოდა“.

მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე თენგიზ სიგუა:
— რონი ფუქსის სახელი პირველად 1992 წელს გავიგე(!).

მე ხელთ მაქვს გამსახურდიას მთავრობის დადგენილება ბესო გუგუშვილის ხელმოწერით, რომელიც „ტრამექს“ საქართველოში ინვესტიციების უფლებას აძლევს.

ეს დოკუმენტი ძალაში მხოლოდ იმით ვერ შევიდა, რომ ფინანსთა სამინისტროს უნდა გაეტარებინა რეგისტრაციაში, რაც ვერ მოეწერა, მალე სამხედრო გადატრიალება მოხდა საქართველოში. ორი ქარხანა უნდა აეშენებინათ — ერთი შედარებით პატარა, მეორე კი მილიონი ტონა ნავთობის გადასამუშავებლად. მათ კი ერთი ცენტრიც არ დახარჯეს, ერთი კვადრატული მიწაც კი არ გაჭრეს და მერე ყველაფერი საქართველოში არეულობას დააბრალეს.

— თუ ასეა, მაშინ ნდობა რატომ გამოუცხადეს ამ კომპანიას?
— დასავლელი პარტნიორები გვაფრთხილებდნენ, „მიკი მაუს“ კომპანიებთან საქმე არ დაიჭიროთო. გადაამოწმეთ, ევროპულ ბანკებთან თუ აქვთ ურთიერთობაო. გავიკითხეთ და „ტრამექსს“ მართლაც კარგი რეპუტაცია ჰქონდა. ამიტომაც ვენდეთ, მაგრამ 1995 წლამდე კომპანიას არაფერი გაუკეთებია, ამიტომ ხელისუფლება იძულებული გახდა მასთან ურთიერთობა განეწყვიტა.

სხვათა შორის, ისიც ვერ ავხსენი, ეს გადაწყვეტილება რატომ გააპროტესტეს „ტრამექსის“ მენილეებმა ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 წლის შემდეგ, ან როგორ მოახერხეს ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში გამარჯვება. იუსტიციის სამინისტროშიც დავრეკე და მიზეზი ვიკითხე, მაგრამ ვერაფერი ვერაფერი ამხსნა. მხოლოდ ის მითხრეს, რომ რომელიღაც უცხოური ფირმა იცავდა საქართველოს ინტერესს.

დარწმუნებული ვარ, ოფიციალურ თბილისს სამართლებრივი მხარისთვის მეტი ყურადღება რომ მიექცია, ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლო გამარჯვებას მას მიაკუთვნებდა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, მიმაჩნია, რომ ებრაელი ბიზნესმენების საქართველოში ჩამოყვანა და დაპატიმრება ძალზე ცუდი ფაქტი იყო.

ამგვარ „სპექტაკლში“ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი არ უნდა მონაწილეობდეს, ჯერ მოიპატიჟოს კომპანიის მენილეები და მერე დააპატიმროს.

„კვირის პალიტრა“ ზვიად გამსახურდიას მთავრობის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბესო გუგუშვილს დაუკავშირდა, რათა გაერკვია მართლაც სამხედრო გადატრიალებამ შეუშალა ხელი თუ არა „ტრამექსთან“ დადებული ხელშეკრულების ძალაში შესვლას.

„საქართველოსა და „ტრამექსს“ შორის დავას ზვიად გამსახურდიას ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან კავშირი არ აქვს. „ტრამექსის“ ურთიერთობა გამსახურდიას ხელისუფლებასთან გამჭვირვალე და კანონიერი იყო“.

ბატონმა ბესომ დაადასტურა, რომ სწორედ ეფრაიმ გურის მეშვეობით შეხვედნენ „ტრამექსის“ წარმომადგენლები ზვიად გამსახურდიას და შეხვედრას მაშინდელი მინისტრებიც ესწრებოდნენ.

ეკა ასათიანი
ბაზეთი „კვირის პალიტრა“
მაისი, 2011

ვაგლას, „ჰამასი“

ლაზისაკენ მიმავალ ფლოტილიასთან დაკავშირებით.

ევრაზიის ებრაულთა კონგრესმა ასეთი წერილი მიიღო: „იხილეთ წიგნი „Huffington Post“ (Huffo) უკომპიუტერო კომპანია ჰიუფინგტონ პოსტის საიტზე გაქვეყნებულია. ეს წინადადება ბატიკულად ჩაუთვალე იდეალურად რამდენადაც, Huffo ერთ-ერთი ყველაზე უფრო დინამიური საინფორმაციო საიტია. ამ საიტით დაინტერესებულთა მსოფლიოს ტოპ-100-ის ადგილზეა.“

2009 წლის სექტემბრიდან „Huffo“-ში ხუთსაბდღე სტატიას გამოქვეყნებდა და მიმდევარად კიდევ უფრო მეტს გამოქვეყნებდა კაბინეტში, მაგრამ ამ კვირის ბიზნეს-გაზეთში, რომელიც ჰიუფინგტონ პოსტის საიტს იყენებს, „Huffo“-ში კვლავ გამოქვეყნდება, რადგან ფორმატში არ ჯდება“.

ტხოვთუ ტაუტით ამ სტატიას და გადაწყვეტით, რამდენად აქტიულობა იგი და რადგან ზარ ჯდება ფორმატში-.

ასეთი წერილი ევრაზიის ებრაულთა კონგრესმა დეკად ბარისისგან მიიღო. ეკ კონგრესის პრეზიდენტმა სოლომონმა გამოუცხადა დეკად ბარისს.

ლაზას სექტორში ახალ „თავისუფლების ფლოტილიას“ ველოდებით. ამ ფლოტილიის გემებისა და ამ გემების მგზავრთა რაოდენობის თაობაზე ყოველდღე ახალ-ახალი ინფორმაცია მოდის. ისინი ამცირებენ აქციის მონაწილეთა რაოდენობას. წინა ფლოტილიის ორგანიზატორები კი ამტკიცებენ, ეს საზღვაო ოპერაცია რაც არ უნდა მოხდეს, ყოველ შემთხვევაში შესდგება.

ფლოტილიის წარმომადგენლები ძალიან აქტიურობდნენ – ცდილობდნენ ამ ფაქტს ძლიერ გამოხმაურებოდა საზოგადოებრიობა, პრესა. ეს გასაგებობა: საინფორმაციო მხარდაჭერის გარეშე ისინი ყანგბადის გარეშე დარჩებოდნენ. ამიტომ ცდილობენ ყველაფერი ასე წარმოასახლოონ: უანგარო ჰუმანიტარული და მშვიდობისათვის მებრძოლებმა გადამწყვეტი დაეხმარონ გასაჭირში ჩავარდნილთ – ბლოკადაში მოქცეულ ლაზის მცხოვრებლებს, მაგრამ ამ უსულგულო, სამხედრო ფორმიან მხარგრელებს განზრახული აქვთ, რა-დაც არ უნდა დაუჯდეთ, შეაჩერონ ფლოტილია, ალბათ, თავისთავად ცხადია: საქმის ასე წარმოჩენა ისრაელს ერთობ ნამდებთან მდგომარეობაში აყენებს.

„სოლომონის საერთაშორისო მოძრაობა“ მოძრაობა „ლაზას თავისუფლებისათვის“, „ამერიკული გემები ლაზაში“ და სხვა მონათესავე ორგანიზაციები ცდილობენ მთელი მსოფლიო დაარწმუნონ, რომ ბედის ანაბარად მიტოვებული ერთი ბენო სახმელეთო ზოლი, რომელსაც ლაზა ჰქვია, შესძლებს ახლო აღმოსავლეთის შანგრილად იქცეს. ლაზას მცხოვრებლებს ერთადერთი რამ სწადიათ: მშვიდობა, სიმშვიდე და მეზობლებთან თანხმიერი ცხოვრება. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ლაზაში არის ხელმძღვანელი ორგანო, ვიღაც-ვიღაცები ამ ხელმძღვანელ ორგანოდ „ჰამასს“ ასახელებენ და დაუყოვნებლივ დასძენენ, ეგ „ჰამასი“ დემოკრატიულად იქნაო არჩეული. დანარჩენები კი ამჯობნიებენ „ჰამასს“ არც ახსენონ – ყველაფერი არ აფუროთო.

ამ უკაცრავად პასუხია და, კონცეფციის ჩარჩოებში ახლო აღმოსავლეთში შექმნილი სიტუაცია ასე განიხილება: ლაზას სვეუბედური მცხოვრებნი განუწყვეტლივ განიცდიან მეზობელი ისრაელის ჩაგვრას. ისრაელი, იმისათვის, რომ თავის ემპაქულ მიზანს მიაღწიოს, ცდილობს მაქსიმალური ზიანი მი-აყენოს ხალხს, რომლის ერთადერთი მიზანია იცხოვროს და სხვებსაც მისცეს ცხოვრების საშუალება. ამ უბედური ლაზას ასეთი დამცველებისათვის იხგლისური ენის ოქსფორდის ლექსიკონიც კი უძღურია სრულად გამოხატოს ისრაელის ჭეშმარიტი გამყიდველური ბუნება.

წარმოდგინოთ რას იქმნიან ეს, როგორც საკუთარ თავს უწოდებენ, თავისუფლების თანამედროვე მხედრები: ისინი სხდებიან ფლოტილიის გემებზე, ცდილობენ ჰუმანიტარული ტვირთი მიუტანონ ლაზას და ფლოტილიის მგზავრები კი წარმოადგინონ, როგორც 1963 წელს ბირმინგემში რასობრივი დისკრიმინაციის გამო დაზარალებულნი.

სად ხართ, ჯორჯ ორუელ? თქვენ ამ ამბებისგან კარგი მოსაველის მიღებას შესძლებდით.

კაცმა რომ თქვას, თქვენ ეს იწინასწარმეტყველეთ, როცა თქვენს კლასიკად ქცეულ წიგნში „1984“ დაწერეთ სიმართლის სამინისტროზე. 1000-ფუტიანი სიმართლის სამინისტროს კედლებზე რა ლოზუნგები ჰქონდა მმართველ პარტიას? „ომი – ეს არის მშვიდობა“, „თავისუფლება – მონობა“, „უცოდინ-არობა ძალაა“. განა ეს სამინისტრო ისტორიას თავის ნებაზე, თავის პარტიის ინტერესების სასარგებლოდ არ წერდა?

ფლოტილიის წარმომადგენლები ჭეშმარიტებას ამახინჯებენ და ისტორიას ისე წერენ, რომ მათსავე ინტერესებს ემსახურებოდეს. რა არის ეს ინტერესები? ლაზაში „ჰამასის“ რეჟიმის მხარდაჭერა და ისრაელის დელეგატიონისა.

მათ, რასაკვირველია, აქვთ უფლება ჰქონდეთ თავიანთი აზრი, მაგრამ იმის უფლება კი არა აქვთ, ადამიანებს ატყუებდნენ.

ფაქტია, რომ „ჰამასი“ დღევანდელი ლაზას სექტორის გაგების გასაღებია. მე გეუბნებით: „ჰამასი“ ტერორისტული ორგანიზაციაა. მაგრამ არ ენდობთ ჩემს სიტყვებს. მოიძებნეთ რა აზრისაა ამ საკითხზე აშშ, გნებავთ, ევროპის კავშირი. ერთმაც და მეორემაც „ჰამასი“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა.

„ჰამასი“ ისრაელის განადგურებას ქადაგებს, მისი აღმსარებლობა გახლავთ ანტისემიტიზმი. ხურც ამჯერად ენდობით ჩემს სიტყვებს, წაიკითხეთ „ჰამასის“ წესდება. მართალია 2006 წელს „ჰამასი“ პალესტინაში ჩატარებული ერთადერთი – პირველი და უკანასკნელი — საყოველთაო არჩევნების შედეგად მოვიდა ხელისუფლების სათავეში, მაგრამ არჩევნები ჯერ კიდევ არ ნიშნავს დემოკრატია, მხოლოდ არჩევნებით დემოკრატიული ვერ გახდება. „ჰამასმა“ საარჩევნო ურნა იმისთვის გამოიყენა, რომ ხელისუფლება განემტკიცებინა, მერე კი ანტიდემოკრატიული საშუალებები გამოიყენა და თავისი სულისმემკვიდრე მსოფლიმხედველობა მოახვია თავს მთელს ავტონომიას. 2007 წელს „ჰამასმა“ ლაზადან გააძევა ავტონომიის მმართველი პარტია „ფათხი“ და დღემდე თავად მართავს სექტორს. იმდენად, რამდენადაც „ჰამასს“ არ ძალუძს რეფორმირება, ექვსი კვირის წინ მის მიერ „ფათხთან“ გაფორმებული, ესოდენ რეკლამირებული „ერთობის შეთანხმება“ ძალიან გაურკვეველი მომავლისაა.

„ჰამასი“ ძალადობას ადიდებს, იგი სიამოვნებით ლაპარაკობს ჯიჰადზე, მონამებრივ გზაზე, კონფლიქტებსა და ისრაელის საბოლოო განადგურებაზე. ამ მგზნებარე რიტორიკას „ჰამასი“ უთავსებს იარაღის მიღებას, ირანთან ლაცის, სინაიზე კონტრაბანდის ორგანიზებას და საზღვრის ეგვიპტური მხრიდან გვირაბების გამოყენებას. ბოლო წლების განმავლობაში ლაზის სექტორიდან ისრაელის მიმართულებით ათასობით რაკეტა და ჭურვი იქნა გასროლილი.

რატომ? ისრაელს არა-რა პრეტენზია არა აქვს ლაზას სექტორზე. უფრო მეტიც:

თბილისიდან კი ეკ კონგრესის პრეზიდენტს გაეგზავნა ასეთი წერილი: „მეორესთან მეგობრობა, მთლიანად ვიზიარებ და ვუერთდები დევიდ ბარისის – ამ შესანიშნავი ანალიტიკოსისა და ისრაელის, მისი გარემოცველი სამუაროს ჩინებული მცოდნისადმი თქვენს სოლიდარობას აღნიშნულ სტატიასთან – „ვაგლას „ჰამასი“ და-კავშირებით.“

გამოვივარ შედეგი ინიციატივით: დევიდ ბარისის სტატია „ვაგლას „ჰამასი“ დაეგზავნოს ევრაზიის ებრაულთა კონგრესის წევრი სახელმწიფოების ყველა ებრაულ განსჯის, ითარგმნოს იგი ოცდამეექვსე ენაზე (ინდური, იაპონური, თურქული, პორტუგალიური და სხვა ენები) და 3-8 ივლისის განმავლობაში დაიბეჭდოს ჩვენი კონგრესის წევრი სახელმწიფოების ყველა ებრაულ განსჯით.

ეს სტატია ქართულ ენაზე უკვე ითარგმნება და დაიბეჭდება საქართველოში გამოქვეყნებული თემატიკის განსჯით „მენორა“, რომელიც 7 ივლისს გამოვა.

ბატივისცემით: გურამ ბათიაშვილი
რედაქტორი, მწერალი, საქართველოს სახელმწიფო
და კ. მარჯანიშვილის სახ. პრემიების ლაურეატი
3 ივლისი, 2011წ.



2005 წელს ისრაელის ჯარი ლაზადან გავიდა. პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა ლაზადან არმიასთან ერთად მოსახლეობაც გამოიყვანა. ამით სექტორის მოსახლეობას, ისტორიაში პირველად, თვითმმართველობის შანსი მიეცა.

ისრაელის მხარდაჭერის მეოხებით, ებრაელმა ქველმოქმედებმა შეისყიდეს ისრაელის სათბურები ლაზას სექტორში და ადგილობრივ მოსახლეობას დაუტოვეს, ამით შეეცადნენ ხელი წაეშველებინათ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისათვის. რა მოჰყვა ამას? სათბურების გაძარცვა, მაძინ როდესაც ამ სათბურებში შეიძლებოდა ყვავილების, ხილის მოწევა და ავტონომიის ეკონომიკის განვითარება.

ისრაელი მონადინებულია ლაზა იყოს სტაბილური, უსაფრთხო, იფურჩქნებოდეს ეკონომიკა. ისრაელს ხელს არ აძლევს კბილებამდე შეიარაღებული ლაზა, რომელიც მას რაკეტებს, ჭურვებს ესვრის და ჯიჰადს ქადაგებს. ბოლოდაბოლოს ცხოვრებაში ბევრი რამის შეცვლა შეიძლება, მეზობელი სახელმწიფოებისა კი რთულია. ისრაელი და ლაზას სექტორი იძულებულნი არიან ერთმანეთთან იმეზობლონ.

ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო კვარტეტმა, რომელშიც შედიან აშშ, ევროკავშირი, რუსეთი და გაერო, წამოაყენა სამი პირობა, „ჰამასთან“ ურთიერთობა ამ სამი პირობის დაცვითაა შესაძლებელი.

დაჯგუფებამ („ჰამასმა“) უარი უნდა თქვას ძალადობაზე, უნდა აღიაროს ისრაელის არსებობის უფლება და მიიღოს ისრაელ-პალესტინის მიერ ადრე მიღებული ხელშეკრულებები. „ჰამასს“ დღემდე არც ერთი პირობა არ შეუსრულებია. ლაზას დამცველები ცდილობენ, რომ ეს ასე არ გამოიყურებოდეს, მაგრამ „ჰამასის“ წარმომადგენლები მათ მცდელობასაც ძირშივე სჭრიან. მაშინ როცა „ჰამასს“ ეს ხელს აძლევს, მოკლე ხნით ამცირებს ხოლმე ძალადობას, ეს მას სულის მოსათქმელად, ძალთა გადასაადგილებლად და ხელახლა შეიარაღებისათვის სჭირდება, თორემ იგი ურყევად მისდევს ერთ პრინციპს: არასოდეს არ თქვას უარი ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ასე რომ, მოდით, სიმართლეს თვალეში ჩავხედოთ: ფლოტილიის მონაწილენი, აღიარებენ ისინი ამას თუ არა, ტერორისტული ორგანიზაციის ხელის-გამმართავნი არიან. სწორედ ეს რეჟიმი და არა ისრაელი, აგებს პასუხს ლაზას სექტორში შექმნილ სიტუაციაზე. მდგომარეობა სახარბიელო ნამდვილად არ არის, მაგრამ არც ისე, ჰიპერბოლიზებულია, როგორც ფლოტილიის წარმომადგენლები გვიხატავენ.

ისრაელი დაინტერესებულია მხოლოდ იმაში, რომ „ჰამასმა“, რომელიც ისრაელის მტრად აცხადებს თავს, არ მიიღოს დამატებითი საშუალებები და ამით ემუქრობდეს თავის მეზობელს. ესაა და ეს! ძალიან უბრალოდ გასაგებია!

როგორც უკვე ითქვა, თუ „ჰამასი“ იარაღს დაყრის, იქნება მშვიდობა, მაგრამ თუ დღეს ისრაელი დაყრის იარაღს, ხვალ ეს სახელმწიფო აღარ იქნება.

ფლოტილიის მონაწილენი აცხადებენ, რომ ისინი მხოლოდ ჰუმანიტარი მისი-ით მოემართებიან, სინამდვილეში კი ისინი იმ რეჟიმს ეხმარებიან, რომელიც მხარს უჭერს ტერორიზმს, ქადაგებს ანტისემიტიზმს და ახანგრძლივებს ბინ ლადენის ხსოვნას.

იმისათვის, რომ თავისუფლების მხედრობის „ახალ ტალღად“ წარმოადგინონ თავიანთი თავი, ისინი ფხვნიან თელავენ სამოქალაქო უფლებებისათვის ამერიკელთა სიმართლის მემკვიდრეობას და ხელახლა წერენ ისტორიას. ორუელის ბრძოლის სამინისტროს სამინისტრო ბრუნდება.

აშოლის თახხი საქართველოს ქანაქებში

ქალაქ ქუთაისის მერიის მინვევით საქართველოში ჩამოვიდა დუეტი „ელეგია“ — ლუიზა მანაშეროვასა და ალექსანდრე პელეგის (ელიგულაშვილი) შემადგენლობით და აშდოდის ქართულენოვანი კამერული თეატრი. მათ წარმოდგენები და კონცერტები გამართეს ქუთაისში, ახალციხეში, ბათუმსა და ბოლოს 29 ივნისს თბილისში. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ჩატარდა თეატრისა და სიმღერის საღამო „იყიდება გული...“.



საღამო ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში ქ. აშდოდის კამერულმა თეატრმა წარმოადგინა ელისაბედ ყვავილაშვილის პიესის მიხედვით დადგმული მონოსპექტაკლი „მოპატიჟება მონყალეზზე“. სპექტაკლში მონაწილეობდნენ ქალბატონი ნაზი ნანიკაშვილი და ბატონი შოთა ეთერაშვილი, ხოლო მეორე ნაწილში დუეტმა „ელეგია“ მყურებელს ალექსანდრე პელეგის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი სიმღერები წარუდგინა.

საღამო გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა სერგო ვარდოსანიძემ, რომელმაც ქართველებისა და ებრაელების განსაკუთრებულ თბილ და მეგობრულ ურთიერთობაზე ისაუბრა, გაიხსენა უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის პირველი სტუმრობა ისრაელში.

კონცერტის შემდეგ სტუმრებს მიესალმა ჩოხოსანთა საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი გოგი დოლიძე, ებრაული სახლის წარმომადგენელი ზაირა დავარაშვილი, პროფესორი ვახტანგ სართანია, მწერალი გურამ ბათიაშვილი და ისრაელიდან ჩამოსული პოეტი იოსებ კრიხელი, რომლის ორ ლექსზე დაწერილი სიმღერებიც საღამოზე შესრულდა.

28 ივნისს ჩამოსული სტუმრები შეხვდნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს ბატონ გოგი ქავთარაძეს. თეატრალურ საზოგადოებაში გაიმართა გულითადი საუბარი ისრაელში ქართული თეატრის მუშაობასთან დაკავშირებით, გაიხსენეს 2008 წელს „გოგი ქავთარაძის ახალი თეატრის“ გასტროლი ისრაელში. გ. ქავთარაძის წინადადებით ისრაელელი მომღერლები და მსახიობები საქართველოს თეატრალური საზოგადოების საპატიო წევრები გახდნენ.

ჩვენ შევხვდით ზოგიერთ მათგანს და გავესაუბრეთ.

ალექსანდრე პელეგი (ელიგულაშვილი): საქართველოში ოთხი კაცის შემადგენლობით ჩამოვედით: საქართველოს დამსახურებული არტისტი ნაზი ნანიკაშვილი — ისრაელში მოქმედი ქართულენოვანი კამერული თეატრის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი და ამავე თეატრის მსახიობი შოთა ეთერაშვილი, ქალბატონი ლუიზა მანაშეროვა — მომღერალი პედაგოგი, თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული ამჟამად ისრაელში მოღვაწეობს და მე — ალექსანდრე პელეგი (ელიგულაშვილი) კომპოზიტორი. მე და ქალბატონი ლუიზა წარმოვადგენთ დუეტს „ელეგია“. ჩვენი ჩამოსვლა განაპირობა ქა-



ლაქ ქუთაისის მერიის მინვევამ, რომელთაც ჩვენი არსებობის შესახებ ინტერნეტიდან შეიტყვეს და დაინტერესებულნი იყვნენ ქუთაისში გაგვემართა კონცერტი, რომელიც შედგა კიდეც 18 ივნისს ქუთაისის ოპერის თეატრში. ამას გარდა, ჩვენი ჩამოსვლის შესახებ გაიგეს და დაინტერესდნენ ბათუმის მერიამ, აჭარის კულტურის სამინისტროში და მათაც გვთხოვეს გვესარგებლა შემთხვევით



და იქაც გამოვსულიყავთ. გამოვედით ბათუმის საკონცერტო დარბაზში. შემდეგ დაიგეგმა წარმოდგენა ახალციხეში — მესხეთის თეატრში და ბოლოს 29 ივნისს წარმოდგენა გვექნება თბილისში საპატრიარქოს უნივერსიტეტში.

— რა პროგრამა ჩამოიტანეთ?

— ჩვენი საკონცერტო პროგრამა ორი განყოფილებისაგან შედგება. პირველ განყოფილებაში ქალბატონი ნაზი და ბატონი შოთა თამაშობენ მონოსპექტაკლს, მაგრამ სინამდვილეში ორი ადამიანი თამაშობს. ეს არის დრამატურგ ელისაბედ ყვავილაშვილის პიესა „მოპატიჟება მონყალეზზე“. ზუსტად იმის გამო, რომ ამ სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება მე მეკუთვნის, შედგა ჩვენი ალიანსი. პირველ განყოფილებაში არის სპექტაკლი, ხოლო მეორეში — მე და ქალბატონი ლუიზა ვასრულებთ ჩვენს მიერ დაწერილ სიმღერებს, გვინდოდა ყოფილიყო საერთო პათოსი. ჩვენი პათოსი არის გვიყვარდეს ერთმანეთი და არავითარ შემთხვევაში ერთმანეთს გული არ ვატკინოთ. შემიძლია გითხრათ, რომ სამი კონცერტი ჩავატარებთ და ყველგან ძალიან კარგი მიღება გვქონდა. როდესაც რაღაცას ქმნი, იმაზე ფიქრობ, თუ როგორ მიიღებს მსმენელი და მინდა თქვას, რომ ჩემი სიმღერები ძალიან კარგად მიიღო. ოვაციები არ გვაკლდა. თუ სხვა კოლექტივებმაც დაინყეს ჩამოსვლა, უნიკალური ურთიერთობები ქართველებსა და ებრაელებს შორის არ გაფერმკრთალდება. მოგეხსენებათ, რომ ხელოვნება და კულტურა სულ უცხო თემებს აახლოვებს და ჩვენ კი ვართ ორი ერთი, რომლებიც ერთად ამდენი საუკუნე ცხოვრობდნენ. ვისურვებდი, რომ ხელოვნების ერთი ურთიერთობა კვლავაც გაგრძელდეს და ამ ყველაფერს უფრო სისტემატიური ხასიათი მიეცეს.

ლუიზა მანაშეროვა: ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა აქ რომ ჩამოვედით. შარშანაც ვიყავით ჩამოსული, ძალიან თბილი მიღება გვქონდა. სამი კონცერტი ჩავატარეთ თბილისში და ერთი ქუთაისში. იმედი გვაქვს, მომავალშიც ასე გაგრძელდება. გვინდა ყოველ წელს ჩამოვიდეთ და განვაახლოთ ჩვენი პროგრამა, სხვათა შორის ახლა რვა ახალი სიმღერა გვაქვს ჩამოტანილი და მათი პრემიერა საქართველოში შედგება.

— რა თემებზეა თქვენი სიმღერები?

— ძირითადად პატრიოტული და სასიყვარულო ლირიკა. ჩვენ შევინარჩუნეთ კლასიკური საესტრადო ფესვები. გაზრდილი ვართ გოგი ცაბაძის, რევაზ ლალიძის, სულხან ცინცაძის, ბიძინა კვერნაძის სიმღერებზე. ჩვენს მუსიკასაც ქართული ფესვები აქვს. სამწუხაროდ, ასეთი მუსიკა საქართველოში აღარ ისმის, თუმცა, ჩვენ ისრაელში გვყავს ალექსი პელეგი, რომელიც თავის მუსიკაში ინარჩუნებს ქართულ ინტონაციას.

ნაზი ნანიკაშვილი: მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია საქართველოდან წავედი, აქეთ სიხარულით მომიწევს გული, რადგან ჩემი ფესვები აქ არის. ამჯერად ქართველი ქალის მიერ დაწერილ პიესაში მიხილავთ ნიჭიერ მსახიობ შოთა ეთერაშვილთან ერთად. ეს პიესა ჩვენს თეატრში მიხილ ნანიკაშვილმა განახორციელა.



საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი 50 წლისაა

5 ივლისს სასტუმრო „ბაზალეთში“ საქართველოს მთავარი რაბინის არიელ ლევინის 50 წლის იუბილსადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, რომელსაც ებრაული სახლის წარმომადგენელი ზაირა დავარაშვილი უძღვებოდა. კონფერენციის თემა გახლდათ „თორა და მისი მნიშვნელობა ორი ერის სულიერი აღმავლობისათვის“. კონფერენციაზე მოიხსენეს: პროფესორ თეოდორ მდინარაძის, ქართულ-ებრაული ურთიერთობათა ასოციაციის თავმჯდომარის გივი ლამბაძის, აკადემიკოს როინ მეტრეველის, პროფესორ ლევან ფრუიძის, პროფესორ გურამ ლორთქიფანიძის, ვახუშტი „26 ვეკო“ -ის რედაქტორის გაბრიელ ნათალაშვილის, საქართველოში ისრაელის ელჩის იცხაკ გერბერგის, პატრიარქის ფონდის თავმჯდომარის ლაშა ჟვანიას, მწერალ გურამ ბათიაშვილის, „მაქაბის“ პრეზიდენტის გურამ პაატაშვილის, „სოხნუთის“ წარმომადგენლის ავი ოფირის, „ჯოინტის“ წარმომადგენლის ზურაბ დავითაშვილის, სპორტული მიმომხილველის ჯამლეტ ხუხაშვილის, პროფესორ ეთერ თოფჩიაშვილი-გიგინიძის და სხვათა სიტყვები და მხსენებები.

არიელ ლევინის საიუბილეო სიტყვა:

— დაგლოცავთ ყველა სტუმარს, დაგლოცავთ ყველას, ვინც ამ დღეს ორგანიზება გაუკეთებ. მიხდა ერთი იგავი ვავიხსენო. ამბობენ, რომ ერთი ადამიანი ერთ-ერთ ქვეყანაში ბიზნეს-საქმიანობას ეწეოდა, ერთხელაც დარღვევების გამო დაიჭირეს, ამ ქვეყანაში სიკაცურე იყო და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მან თავის ახლობლებთან გამომშვიდობების მიზნით ერთი თვით გათავისუფლება ითხოვა, შემდეგ ჩამოვიდოდა და სიკვდილით დასჯიდნენ. ქვეყნის მმართველმა უთხრა: ჩვენ რა ვიცით, რომ ნახვალ და საერთოდ არ დაიკარგები? მაშინ დაინახა მეგობარმა თევა, თუ ერთი თვის შემდეგ არ ჩამოვიდა, მის მაგიერ მე დამსაჯეთ. მოსაპართლე დათანხმდა. დაინახა მეგობარი გაითვალისწინა, ნაიდა, მოინახულა ახლობლები, მაგრამ უკან დაბრუნების დროს ზღვაზე ქარბმზალი ატყდა და ჩამოსვლა დააგვიანდა. მოვიდა სიკვდილის დასჯის დღე, როცა ემაფოტზე დამსაჯის მეგობარი აჰყავდათ, გამონდა მეგობარი, ის მორობდა და ყვიროდა რომ მოასწრო და ამიტომ სწორედ ის უნდა დაესაჯათ, მეგობარი კი ამბობს: არა, მან დააგვიანა, მე დამსაჯეთო. ქვეყნის პატიოსანმა მმართველმა მეგობრებს შეხედა და უთხრა: დანამაშულს შეგინდობთ მხოლოდ ერთი პირობით, თუ თქვენს მესამე მეგობარს მიმიღებთ. მიმაჩნია, რომ ეს იგავი დღეს ორ სავანს ეხება: პირველი ის არის, რომ სწორედ ასე ვაიუწყებელი ვართ მე და საქართველოს ებრაული ჯამათი. მეორე შემთხვევაში ეს იგავი შეესაბამება დღევანდელი კონფერენციის თემას: თორის მნიშვნელობა ორი ერის სულიერი აღმავლობისათვის. რატომ შეესაბამება? იმიტომ რომ ქართველი და ებრაელი ხალხი განუყოფელია, ორი ერთი, რომელიც მრავალი საუკუნეა ერთად მოდის. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა დამსწრე საზოგადოებას და მათ, ვინც ჩემი მისამართით თბილი სიტყვები არ დაიშურა, ჩვენ მხოლოდ ვინყებთ...

მთავარი ვარ იმით, რომ საშუალება მაქვს საიუბილეო თარიღი მიულოცო საქართველოს მთავარ რაბინს ჩემი, ისრაელის საელჩოს და მთელი სახელმწიფოს სახელით. როდესაც აღამიანი აღწევს იმ ზღურბლს, რომელსაც 50 წელი ჰქვია, იგი თავის თავს უყენებს ანგარიშს. ამავე დროს არის მეორე ანგარიშიც, უფრო მნიშვნელოვანი, საკუთარ თავსა და საზოგადოებას შორის. ვიცი, რომ დიდი ხნის განმავლობაში ბატონი არიელი გახლავთ თემის თავი, აღსანიშნავია ის ძალა და ენერჯია, რომელიც მას გააჩნია. მიხდა ვუსურვო ჯანმრთელობა, ენერჯია, კარგად ყოფნა. გააგრძელებთ ის საქმე, რომელსაც აქამდე ემსახურებით.

იცხაკ გერბერგი ისრაელის სრულფუნქციანი და საბანკეპო ელჩი საქართველოში

ბატონო არიელ! მაქვს პატივი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების სახელით მოგესალმოთ და დაბადებიდან 50 წელი მოგილოცოთ. 50 წელი — ნახევარი საუკუნე, ისტორიისათვის ერთი ამოსუთქვაა, მაგრამ ადამიანისათვის მეტად მნიშვნელოვანი. მიხარია, რომ ამ იუბილეთი დაფიქსირდა ის დიდი ამაგი, რაც თქვენ მიგიძღვით ქართველი ებრაელების წინაშე. ეს არის დიდი ღვაწლი, დიდი მადლი, რომელსაც თქვენ გასცემთ და საფუძველი ამისა არის მეგობრობა. ეს მეგობრობა მოიცავს საუკუნეებს, დღემდე მას სულს ვუბერავთ, რომ არ ჩაქრეს, არ გაქრეს და მომავალშიც შემოვიჩინებთ. დღეს, როცა ურთულესი ცხოვრება მსოფლიოში, ვლასპარაკობთ გლობალიზაციაზე, ერების გაქრობაზე, ქართულ-ებრაული ურთიერთობის განი გახლავთ.

აპადემიკოსი როინ მეტრეველი

Дорогой и досточтимый раввин Ариэль!
Сердечно поздравляю Вас с днем рождения!
На протяжении всей своей жизни Вы являетесь примером яркого еврейского лидера и успешного организатора.
Сила Вашего духа способствует благим переменам в жизни еврейских общин Грузии и интенсификации разнообразных благотворительных и образовательных программ в Израиле.

Ваша многолетняя подвижническая просветительская деятельность по духовному возрождению грузинского еврейства хорошо известна всему миру.

Я искренне горжусь тем, что, несмотря на распад нашего бывшего общего государства, Вы продолжили осуществлять международные инициативы в самых разных религиозных и светских институтах.

Еврейство Грузии и всего бывшего Советского Союза благодарно Вам за огромную роль в восстановлении связей с Израилем. Вы по праву признаны одним из лидеров ныне живущих поколений еврейского народа.

Желаю Вам, дорогой Ариэль, здоровья, счастья, бодрости духа и нескончаемых сил для дальнейшей продуктивной работы на благо дома Израилева по всей планете.

Ад мза ვז עִרְמִי!

Искренне Ваш,
Александр Машкевич,
Президент ЕАЕК

მოთმინება და თავმდაგლობა

ებრაელი დედისგან შობილს ღმერთმა მარგუნა ბედნიერება, რომ კათოლიკოს პატრიარქის საერთაშორისო ფონდის ხელმძღვანელი ვიყო და ამ რანგში მიულოცო საქართველოს მთავარ რაბინს იუბილე. უწმიდესსა და უნეტარეს ბევრჯერ უთქვამს, რომ ებრაელის დალოცვა, ღმერთისგან დალოცვის ტოლფასია. ამიტომ არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი დიდი წინაპრის დავით მეფის სიტყვებით მიხდა დაგლოცოთ ყველა.

„გაკურთხოს შენ უფალმა სიონით და იხილოს შენ შვილნი შვილთა შენთანი. გარემოს წაბლისა და ზეთისს-

ილი მსხმიარე. მშვიდობა ისრაელსა ზედა“. თქვენ და ისრაელს მშვიდობა მოგეცეთ, თქვენს მოღვაწეობის მანძილზე, რომელთაც მე ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ასაკიდან სხვადასხვა თანამდებობებიდან, რომელიც ისრაელთან მაკავშირებდა, ვადევნებდი თვალს. თქვენი ამაგი არაფერია თუ არა სიყვარულის გამო მოთმინება და თავმდაბლობა. ამ თავმდაბლობით, მოთმინებით მოიყვანეთ თქვენ საქართველოში მცხოვრები ებრაელი ერი დღემდე, რომელსაც ამაყად შეუძლია თქვას, რომ მათ არ დავინყებიათ იერუსალიმი, მაგრამ გვერდში უდგანან იმ მყარ ფესვებზე, მაგნიტურ მეგობრობას, რომელსაც საქართველოსა და ისრაელის, ებრაელებისა და ქართველების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა ჰქვია. დაგლოცავთ, მრავალსაუმიერ!

ლამა შპანი

პატივცემულ რაბი არიელ ლევინი!

გილოცავთ 50 წლის შესრულებას, იუბილეს. გისურვებთ სიუხვებს, გამჩენის დახმარებას და წარმატებებს იმ წმინდა საქმიანობაში, რომელსაც საქართველოს თემის დასახმარებლად ეწეით.

კვირის საკითხავ ფარაშაში „ბეჰარ“ საიუბილეო წელზე საუბარი, საიდანაც ვსწავლობთ, რომ 50-ე წელს საჭიროა განწმენდა. „ამ წელს ყველას ... „ყველა მცხოვრებთა თავისუფლებას“ ვამცნობთ. თორის უდიდეს კომენტატორს — რამის მოყავს რაბი იეჰუდას სიტყვები: „თავისუფლება იმისათვის, რომ შეგიძლია იცხოვრო ნებისმიერ ადგილას და არ იყო დამოკიდებული სხვაზე“.

გილოცავთ და გისურვებთ ყველა იმ პრობლემისა და სინდელისაგან თავისუფლებას, რომელიც ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას ახლავს. გამჩენი საკუთარი განძთსაცავიდან უხვად გამოგიგზავნი ფარნასას. და ვინ, თუ არა თქვენ, არის ამ კურთხევის ღირსი. თქვენ ხომ განიცდით იმას, რომ საქართველოს ებრაელებს ესაჭიროებათ დახმარების განევა, და არა მარტო მათ.

გამჩენმა იხებოს და მოგცეთ თქვენ ძალა და ჯანმრთელობა იმისათვის, რომ კიდევ დიდხანს უხელმძღვანელოთ თემს და კურთხეულ იყავით ცხოვრების უკლებლივ ყველა სიკეთით (გამჩენის მოშიმი შვილები, დღეგრძელობა, ფარნასა).

თქვენს იუბილესთან დაკავშირებით გამჩენმა იხებოს ყველა ებრაელის კურთხევა „დაუბრუნდეს ყოველი მათგანი თავის მემკვიდრეობას და თავის ოჯახს“, ჩვენი წმინდა მინის ჭეშმარიტი და სრული თავისუფლება, ერთად ვიცხოვროთ იქ, სადაც გვსურს, არ ვიყოთ დამოკიდებულნი სხვა ხალხებზე, წმინდა მამიასის დაუყოვნებლივ, ჩვენს დღეებში მობრძანება. ამენ!

სახამ აბრაჰამ ელავილი მოსკოვში საქართველოდან გამოსულ ებრაელთა თემის რაბინი

მაზალ ტოვ!

რაბი არიელ ლევინს დიდი ხანია ვიცნობ და არასოდეს არ დამავინყებდა ჩვენი პირველი შეხვედრა. როგორც საბჭოთა პერიოდის ებრაელებში ხშირად ხდება, ბაბუის გარდაცვალების შემდეგ სინაგოგაში დავიწყე სიარული. თეფილის ყოველდღე ვიდებდი, მაგრამ სიღური არ მქონდა. ვლოცულობდი ბაბუის მიერ შემონახული ხელით დანერვილი ფურცლებიდან. მირჩიეს მივსულიყავი დიდ სალოცავში რაბინთან, რომელსაც არიელ ლევინი ერქვა და მითხრეს, რომ შეიძლება მარტო მასთან სიღურის შექმნა. მაშინ 15 წლის ვიყავი. მეგონა, სიღური ძალიან ძვირი ღირდა და რაც შეგროვილი თანხა მქონდა, ჩავიდე ჯიბეში და არიელის სახლს მივადექი. რაბი, გაიგო რა იყო ჩემი ნიუიბის მიზეზი, თვალბში შემომხედა და მორიდებით მკითხა. „კი, მაგრამ შენ ხომ დედა ებრაული გყავს?“ – მართალი გითხრა, მეწყინა ეს კითხვა. მაშინ წარმოდგინა რა მქონდა იმაზე, რომ შეიძლება ებრაელს შეერთოს სხვა ეროვნების ქალი. მოკლე დიალოგის შემდეგ რაბი არიელმა საჩუქრად გადმომცა სალოცავი სიღური და თორა რუსულ ენაზე. მასთან ერთად წიგნებიც ებრაულ ტრადიციასა, ამ წიგნებში კარგად იყო აღწერილი ებრაელი ხალხის წესები და ტრადიციები. მახსოვს, დამშვიდობებდა რომ ვაპირებდი, რაბი შემაჩერა და მკითხა — „თორის სწავლა ხომ არ



გაინტერესებს?“ ტრადიციულ ოჯახში აღზრდილმა, მამნივე ვუპასუხე, რომ ყოველთვის მქონდა ჩვენი მამა-პაპის წეს-ადათის შესწავლის სურვილი. მახსოვს, რამდენიმე დღე განუწყვეტილად დიდი მწყურვალეობით ვკითხულობდი რაბი არიელის მოცემულ წიგნებს. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა როცა ჩემს კითხვებზე პასუხებს ვპოულობდი თორაში. ასე დაიწყო ჩემი პირველი ნაბიჯები გამჩენთან დაახლოების გზაზე. ის დღეები ახლაც მახსენდება, როგორც ყველაზე საუკეთესო და ტკბილი ჩემს ცხოვრებაში. რაბი არიელმა თავისი ხელით მიმიყვანა იემიბაში, დამინიშნა პირადი მასწავლებელი. და იმ დღიდან მისი ერთ-ერთი თალმიდი ვახები. იგი თავად ზრუნავდა ჩემზე, მამარაგებდა ლიტერატურით, თავადაც მასწავლიდა. ხშირად მთავაზობდა ისრაელში ძლიერ იემიბებში სწავლის გაგრძელებას. მან ძალზე ბევრი ჩადო ჩემში. და თუ დღეს მე გამჩენის გზაზე ვარ და მის თორას ვსწავლობ, ეს მხოლოდ რაბი არიელ ლევინის ზეხუთია, მისი დამსახურებაა. იმ პირველმა ბიძგმა, რაც მისგან მივიღე, ძალიან წინ წამწია. გასაგებია, რომ ასეთი მხოლოდ მე არ ვარ. ასობით ახალგაზრდა დაყენა მამა-პაპათა ტრადიციების გზაზე. ისინი ახლა სხვადასხვა ქვეყანაში სწავლობენ და ასწავლიან თორას. მათ შორის მეც, სანკტ-პეტერბურგში ჩამოსვლის შემდეგ მისგან მიღებული ცოდნა სხვებს ვავუნახილე და დღესაც მესმარება ჩვენი — ქართული ებრაული თემის მართვამი. რაბი არიელ ლევინმა უდიდესი როლი ითამაშა ჩემს პირად ცხოვრებაში, ჩემი მეუღლე მისი სკოლის აღზრდილია.

რაბი არიელის სახლის კარი ყოველთვის ღიაა ჩემთვის, მე არ მახსოვს საკითხი, რომ მასთან მივსულიყავი და უარით გამოვესტუმრებინე. ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვს, როგორც საკუთარი შვილის პრობლემა. და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩემისთანა მას კიდევ ბევრი ჰყავს.

დღეს რაბი არიელი საქართველოში არაა, მაგრამ მისი ხელი ეტყობა საქართველოს ებრაელობას ის კვლავაც შემართულია და იღვწის თავისი თემისათვის. მისი შალაახები მისი მეთაურობით აკეთებენ წმინდა საქმეს. სკოლის საბავშვო ბაღები, ქოლელი და მრავალი ებრაული პროგრამა ამის დამადასტურებელია. ჩემი გადასახედიდან ეს ძალზე კარგად ჩანს.

განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო ისიც, რომ თავად რაბი არიელი თავისი ცხოვრების წესით, ოჯახზე ზრუნვით უდიდეს ცოცხალ მაგალითს უჩვენებს არა მარტო საქართველოს ებრაულ თემს, არამედ მთელ ებრაელობას. თუ როგორ უნდა, იცხოვროს და იმოღვაწეოს ნამდვილმა ებრაელმა.

ად მეა ვეესრიმ! მაზალ ტოვ! მაზალ ტოვ!
იაკოვ ფირსაკი
პეტიარქურის ქართველ ებრაელთა თემის და სალოცავის თავმჯდომარე

ზურაბ კიკნაძე

ჩანაწერები

საფეხურები

„...სიკვდილის დღიდან მე გადავდივარ სამყაროდან სამყაროში და სამყარო, რომელიც გუშინ ცად ვიხილე ჩემს თავს ზემოთ, დღეს არის მინა ჩემს ფეხქვეშ, ხოლო დღევანდელი ცა ხვალ მინა იქნება“ („ხასიდური სწავლანი“).

ასეა: რასაც დღეს მიზნად ვხედავ (თუნდაც ცა იყოს), ხვალ საშუალებად იქცევა კვლავ ზეასვლისთვის და ასე შემდეგ დაუსრულებლივ. სად არის საბოლოო მიზანი, რომელიც არასოდეს საშუალება არ გახდება?

მოაბის მეფე მემა

„...და დაიხანა მოაბის მეფემ, რომ იძლია ბრძოლაში, გაიყოლა შეიდასი კაცი, მახვილის ამომღები, და შეეცადა ედომის მეფისკენ გაეღწია. მაგრამ ვერ შეძლეს. მაშინ მოჰკიდა ხელი თავის პირმშოს, მის ნაცვლად რომ უნდა გამეფებულყო და სრულად დასაწველ მსხვერპლად შესწირა გალაგანზე.“

და იყო დიდი რისხვა ისრაელზე. და მოსცილდნენ მას და თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ“ (4 მეფ. 3:26).

როცა არავითარი გამოსავალი აღარ დარჩა, უკანასკნელი იმედი გადაწურული იყო, მოაბს, ამ მცირე ქალაქ-სახელმწიფოს, მონობა ელოდა, მოაბის მეფემ ამ უკიდურეს ზომას მიმართა. მეფემ გაიღო მსხვერპლად საუკეთესო, ყველაზე ძვირფასი, რაც მას ებოდა უფლისწულის სახით — მთელი ანმყო მომავალთან ერთად. გვახსოვს ავამემონის მიერ იფიგენიის შეწირვა, რაზეც აგებულია მრავალსართულიანი დრამატული ისტორია (ბერძენ ტრაგიკოსთა თემები), მაგრამ ეს ხომ მითოსში მოხდა, მეფე მემა კი ისტორიული პიროვნება და მან რეალურად ჩაიძინა, რაც ჩაიძინა.

ერთი შეხედვით, ეს აქტი მოაბის ღმერთის ქამოშის მოსამადლიერებელი მსხვერპლშენიერება, მაგრამ ხომ აშკარაა, რომ მსხვერპლი შეიწირა არა ტაძარში, საკურთხეველზე, არამედ ქალაქის გალაგანზე მტრის თვალწინ, მათ დასაწახად. მეფის მოლოდინი გამართლდა — ისრაელისა და იუდას გაერთიანებულმა ლაშქარმა ალყა მოხსნა, მაგრამ როგორც დედნის, ისე თარგმანის მკითხველისთვის უცნობი რჩება, რა იყო ეს გრძობა, რომელიც ამის შემსწრე ლაშქარმა განიცადა, რადგან სიტყვები „იყო დიდი რისხვა ისრაელზე“ მხოლოდ სიმბოლური თარგმანია ლაშქრის რეაქციის გამოსახატავად. მათზე იყო რისხვა თუ თავად განიხილდნენ (თუ შემფოთდნენ) მოაბის მეფის საქციელის გამო, თუ თავზარი დასცა ამ ქმედებამ?

სიზმარი

რაბი ფინხაზი ამბობდა: როცა უფალი ტყვეებს დაბრუნებს სიონზე, ჩვენ თითქოს სიზმრიდან ვიქნებით გამოფხიზლებულნი, რადგან მაშინ გაცხადდება, რომ ყველა დევნილება, რაც ისრაელმა განიცადა, მთელი გალუთის ღამე, რაც უცხოებაში გაატარა, მხოლოდ ისრაელის განსანმედად მომხდარა და რომ ყველაფერი სიზმარი იყო.

მოსეს სიტყვისგება

ბიბლია ღვთაებრივი წიგნია, სადაც ღმერთი ლაპარაკობს ადამიანის ენით. მაგრამ ის ლაპარაკობს არა თავის თავზე, არამედ ისე და ისე ადამიანებზე, ადამიანებისთვის. ღმერთმა შექმნა ცა, მაგრამ ადამიანებს არაფერი ამცხოვს ცის უფსახებზე, მთელი ყურადღება მინას მიაპყრო, მისი საზრუნავი მინა გახდა, რომელიც არარაობიდან არის შექმნილი და არარაობის, როგორც წარმავლობის, ნიშნს ატარებს. რელიგიების წიგნთა შორის ბიბლია ყველაზე მეტად გეოცენტრულია. მინა მისთვის ის მესამე ბატონია, რომლისთვისაც მწყემსმა დანარჩენი ოთხმოცდაცხრამეტი მარადიული ცის სახით მიატოვა, რათა დაკარგული წარმავალი მოექცნა. მეფის აღთქმის ადამიანები არ ეძებენ ღმერთს, ღმერთი ეძებს მათ, ეძებს მათთვის მინას, ხალხად და ხალხებად ქმნის მათ და ასახლებს მინაზე.

ამოტომაც ბიბლიის ძირითადი სიტყვებია: მინა, ადამიანი, ხალხი, ხალხები.

როცა მოსე სინაის მთაზე ავიდა, ანგელოზებმა ჰკითხეს ღმერთს, რა უნდა ჩვენთან ამ დიაცის ნაშობსო? რჯულის მისაღებად ამოვიდოდო, მიუგო ღმერთმა. ანგელოზებმა: ნუთუ ის განძი, რომელიც აქამდე საიდუმლოდ იხსებოდა, ადამიანს უნდა მიეცესო? რა არის ადამიანი, რომ ბრუნავ მასზე? რა არის ძე კაცისა, შენს შეხედვად რომ ღირდესო? — შენ გაეცი პასუხი, უთხრა ღმერთმა მოსეს. მოსემ: მემონია, შენი ბაგვეების სურთქვამ არ გადაამბუგოსო. — აბა, მოეჭიდე ჩემი დიდების ტახტს და გაეცი პასუხი.

სამყაროს უფალი, დაიწყო მოსემ, რას ამბობს რჯული, რომლის მოცემასაც აღმოთქვამ? განა ასე არ იწყებოდა იგი: მე ვარ უფალი შენი ღმერთი, რომელმაც ეგვიპტიდან გამოგყვანე? მაგრამ განა ანგელოზებს გიცხოვრიათ ეგვიპტეში და ფარაონების მონები ყოფილხართ? აბა, რისთვის გინდათ ასეთი რჯული?

მერე ნათქვამია: ნუ გაიხდით ღმერთებად უცხო ღმერთებსო. მაგრამ განა გიცხოვრიათ უცხოთა შორის?

კიდევ ნათქვამია: გახსოვდეთ შაბათი დღეო. მაგრამ განა გიმუშავიათ, რომ დასვენება გჭირდებოდეთ?

კიდევ ნათქვამია: პატივი მიაგე დედ-მამასო. მაგრამ განა ოდესმე გაყოლიათ მშობლები? და ბოლოს ნათქვამია: კაცს ნუ მოკლავ, ნუ იმრუშებ, ნუ იქურდებო. მაგრამ განა თქვენ შორის ოდესმე მომხდარა ამგვარი რამე?

ღმერთმა მოიწონა მოსეს პასუხი, ანგელოზებმა კი შეიყვარეს იგი.

მოლაპატე ნინასწარმეტყველი

იერემიას არ აპატიეს ქვემარტობის ლაპარაკი და ერის მოლაპატედ შერაცხეს იმის გამო, რომ იმას ამბობდა, რასაც უფალი ალაპარაკებდა. უფალი კი მისი პირით აფრთხილებდა ხალხს, არ შეეკრათ კავშირი ეგვიპტესთან ბაბილონის წინააღმდეგ. უფლის გამოცხადებით, იერემია უფრო მეტს ხედავდა მომავლის ბინდში, ვიდრე მტრისადმი სიძულვილით შეპყრობილი პატრიოტები, რომელთაც მსულგარებისგან თვალები დაბრმავებოდათ. იერემია კი ლაპარაკობდა ღვთის სიტყვას, რასაც გარდაუვალი ძალა ჰქონდა და უთუოდ უნდა ამხმაროყო. „ამიერიდან მთელი ეს ქვეყნები ნაბუქადონოსოსს, ბაბილონის მეფეს, ჩემს მორჩილს, უნდა ჩავაბარო ხელში. ველის მხეცებზეც მისთვის ჩამიბარებია, რათა ემოწიოვნებოდნენ მას... თქვენ კი ნუ დაუჯერებთ ნურც თქვენს წინასწარმეტყველებს, ნურც თქვენს მისწებს, ნურც თქვენს სიზმრებს, ნურც თქვენს მკითხავეებს და ნურც თქვენს ჯადოქრებს, რომლებიც გეუბნებიან: ნუ დაემორჩილებით ბაბილონის მეფესო. რადგან მხოლოდ სიცრუეს გინინახსწარმეტყველებენ ისინი, რათა მოშორდეთ თქვენს მინას, რომ განგადევნოთ და დაილუპოთ. ხოლო იმ ხალხს, რომელიც მოიხრის ქედს ბაბილონის მეფის უღლის ქვეშ და დაემორჩილებს, დავტოვებ თავის მინაზე, ამბობს უფალი, დაამუშავებენ მას და იცხოვრებენ იქ. (კიდკიას, იუდას მეფეს, ვუთხარი იგივე სიტყვები, რომ მოიხარეთ-მეთქი ქედი ბაბილონის მეფის უღლის ქვეშ, დაემორჩილეთ მას და მის ხალხს, და ცოცხალი გადარჩებით-მეთქი. რისთვის უნდა დაიხოცოთ შენ და შენი ერი მახვილით, მიმილით და შავი ჭირით“ (27:6-13).

ბოლოს, როცა უფლის სიტყვა სმენითაც აღარავის ესმოდა, მაშინ დაიღო ქედზე იერემიამ უღელი და გავიდა ქალაქის ქუჩებში. ***

ორი წინასწარმეტყველი შეეჯახა ერთმანეთს ქვეყნისთვის საბედისწერო ჟამს. ხანანია და იერემია. ხანანია, ჯიქური პატრიოტი, ღალატს სწამებდა იერემიას, რომელიც ფიქრობდა, რომ ხალხს ქედი უნდა მოეხარა უღელქვეშ, რადგან ის ხედავდა ამ ჟამს უღლის გარდაუვალობას და მეორე ჟამს მის წარმავლობას. იერემია სწუხდა იმის გამო, რაც შეიძლება მომხდარიყო. „რისთვის უნდა გაუკაცრიელდეს ეს ქალაქი?“ რასაც ხანანია სამშობლოს უწოდებდა, ამბობს იმისთვის ნაკლები პოლიტიკური ცნება იყო მხოლოდ. იერემიას სამშობლო კი ცოცხალი მოკვდავი ადამიანებით იყო დასახლებული (მარტინ ბუბერი). მის ღმერთს არ სურდა, რომ ეს ქალაქი დალუპულიყო. მას სურდა შეენახა იგი ამ ადამიანთა უღელში შეხმის საფასურით. იერემია მისმა ღმერთმა გაახედა ანმყო ჰორიზონტს იქით, სადაც ყოველი უღელი დალენილი ეყარა.

ასეც შეგვიძლია ვილაპარაკოთ: იერემიას მხარეზე ხალხის გადარჩენის სიმართლეა, ხანანია კი ეკსისტენციალური მომენტის ამართლება: მას არ უღირს რჩეული ხალხის გადარჩენა ღირსების შელახვის ფასად. მაგრამ წიგნი იერემიას უჭერს მხარს. ხალხი, თუნდაც რჩეული, სიმრავლეა, ღირსება კი ერთეულების ხვედრია. იერემია თმობს ღირსებას მრავალთა გადასარჩენად. ***

მთამსვლელებისთვის ადგილი, რომელსაც ერთი ნამის წინ მისი თავი უსწორდებოდა, მეორე ნამს მის ფეხქვეშა მოქცეული — და ასე მწვერვალამდე. ეს აღმასვლაა. მთამს-

ვლელის აღმასვლა შეიძლება სულის სრულყოფის მეტაფორად იქნას გამოყენებული: „იცოდე, სიკვდილის დღიდან მე გადავდივარ სამყაროდან სამყაროში. და სამყარო, რომელიც გუშინ ცად ვიხილე ჩემს ზემოთ, დღეს არის მინა ჩემს ფეხქვეშ, ხოლო დღევანდელი ცა ხვალ მინა იქნება“ (ხასიდური სწავლანი, გვ. 7). წარმავლების გზაზე მდგარმა იცის (უნდა იცოდეს), რომ მიღწეული საფეხური მის მხოლოდ ამჟამინდელ მდგომარეობას ასახავს, არა ერთხელ და სამუდამოდ მიღწეულს. ხასიდი მოძღვარი აფრთხილებდა მოწაფეს: „წმიდა კაცებმაც რომ გითხრან, მართალი კაცი ხარო, არ დაიჯერო. ელიაც რომ მოვიდეს და ცის ანგელოსიც და გითხრან მართალი კაცი ხარო, არ დაიჯერო. თავად უზენაესმაც რომ გითხრას, მართალი კაცი ხარო, იცოდე, რომ ეს ეხება მხოლოდ ამ წამს და არა შემდგომს“ (გვ. 8). ნამდვილად არა შემდგომს, რადგან შემდგომი მისაღწევია. მწვერვლისკენ მიმავალი არასოდეს ჩერდება წინამავალ საფეხურზე. თითქოს ყველაფერი თავიდან იწყება. ეს თითქოს ნიშნავს, რომ ადამიანი ყოველთვის მზად უნდა იყოს გზის თავიდან დასაწყებად. ის ბედკრული ბეთლემელი განდევნილიც მზად უნდა ყოფილიყო ღვანლის თავიდან დასაწყებად.

„ადამიანი ყოველდღე უნდა ამოდოდეს ეგვიპტიდან“ (ხასიდ. გვ. 27) რას ნიშნავს ეს? იშვიათია კულტურა (შესაძლოა, მეორე ვერც დავასახელოთ), სადაც ისტორიულ წარსულზე ასეთი რამის თქმა ყოფილიყო შესაძლებელი. ხასიდი არ ამბობს „ყოველი ისრაელიანი“, ის ამბობს „ყოველი ადამიანი“. ამ ოთხი თუ ხუთი სიტყვიანი ნათქვამია ჭეშმარიტება, რომ ადამიანი ეკუთვნის ისტორიას, რომელსაც ვერ გაეცემა და ვერც დაივიწყებს. მეტიც: ისტორიული ცდომილება, რომელმაც განსაზღვრა მისი სახე, მან თავისი ყოველდღიურობის ფაქტად უნდა აქციოს. მონოდება „ყოველდღე უნდა ამოდოდე“ იმასაც უნდეს ადამიანს, რომ ის ყოველი დღიდან უნდა აცნობიერებდეს თავის იდენტობას, სანამ თავის საქმიანობას შეუდგებოდეს.

ჩვენი ბაგვეები

„ბაგენი ჩუენი ჩუენ თანა არიან და ან ვინ ჩუენდა უფალ არს?“ (ფსალმ. 11:5).

მართლაც, ვინ არის ჩვენი ბაგვეები უფალი, თუ არა ისევე თავად ჩვენი? ჩვენი ბაგისუფლება ჩვენივე თავისუფლების კერძო მხარეზეა. და ისევე, როგორც თავისუფლება, უფლების გარდა, პასუხისმგებლობასაც გულისხმობს, ასევე ბაგისუფლებაც არ არსებობს ბაგის პასუხისმგებლობის გარეშე. მი ადონ ლანუ? „ვინ ჩუენდა უფალ არს?“ — მეფსალმუნე სიტყვაში ადონ (ბატონი) არ გულისხმობს უფალ ღმერთს. ღმერთმა ჩაგიდგა ბაგე — აზრის გამოხატვის ინსტრუმენტი და ახლა შენზეა, როგორ გამოიყენებ მას.

ეს ელემენტარული დებულება გაცამტვერდა სიტყვის გამოთქმის ფუნდამენტური უფლების ნინამე, რომელიც ახალმა დრომ აღმოაჩინა. მოგანვა სათქმელი? გამოთქვი. გაქვს უფლება. ნუ განდევნი ქვეცნობიერში.

მაგრამ ესეც იცოდეს კაცმა: „ხეტარია კაცი, რომელიც... არ ზის ავყიათა საკრებულოში“ (ფსალმ. 1:1).

და ესეც: „არათუ პირით შემავალი შეავინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეავინებს კაცსა“ (მ. 15:11).

თუმცა ადამიანს არც ნეტარება იზიდავს და არც შეინება აწინებს.

ახსნა და გაგება

სინამდვილის შეცნობის პრობლემა გულისხმობს ახსნისა და გაგების გამოწვევას. ჩვეულებრივ, მიწვეულია, რომ ახსნილი შეიძლება მხოლოდ ბუნების მოვლენები ანუ საგნობრივი სამყარო იქნას, გაგებას კი მხოლოდ კულტურის ობიექტები და მოვლენები ექვემდებარებიან, რაკი ისინი ადამიანური წარმოშობისაა. მეცნიერს შეუძლია ახსნას ნებისმიერი მწერის ინსტინქტის და ორგანოების ფუნქციონირება, მაგრამ იგი უძლურია გაიგოს მწერი, როგორც მთლიანი რეალობის, რომელიც არანაკლებ გაუგებარია, ნაწილის საზრისი, რადგან მისი საზრისი განგებისა და გაგების უფალშია, რომელსაც ადამიანი ვერ წვდება. „ღმერთი ორნაირად მალავს თავის სახეს. ერთია, როცა ღმერთი იმალება ისე, რომ ძნელია მისი აღმოჩენა და მაინც ის, ვინც იცის, რომ ღმერთი იმალება, შეუძლია მიუახლოედეს მას და იპოვოს იგი. სხვაა, როცა ღმერთი უმალავს ადამიანს თავად დამალვის ფაქტს და ამიტომაც მძებნელს არ შეუძლია იპოვოს იგი. ამაზეა ნათქვამი: „მე სრულიად დაფარავ ჩემს სახეს“ (მარტინ ბუბერი).

ეს მეორე აბსოლუტური დამალვაა, როცა მიხედავი აღარ არის, რადგან დაკარგულია იმის განცდა, რომ ვიღაც იმალება და რომ არსებობს გაწვევის უფალი, ჩვენი სეკულარული დროის მონაპოვარია.

პავლე — რომის მოქალაქე

პავლე, გამაღილის ფერითი განსწავლული იუდაელი, ამაყობდა რომაული მოქალაქეობით. როცა თვისტოები სასიკვდილოდ დასდევდნენ, ის რომში კეისართან ეძებდა სამართალს. მოციქულის ეს ორი იდენტობა — იუდეველობა და რომაელობა სხვადასხვა განზომილების მოვლენები იყო, ერთმანეთს ისინი არ კვეთდნენ. პირელი თუ ეთნოსისა და ეთოსის, რელიგიის სფერო იყო, მეორე კანონს ეკუთვნოდა. პავლე, როგორც იუდეველი, რწმენით პირველის ერთგული იყო, ხოლო როგორც რომის ქვეშევრდომი — რომაული კანონების მორჩილი. და მიუხედავად იმისა, რომ ებრაელობის ცნობიერებაში რომი „ბოროტების სამეფოდ“ მალკითე ჰა-რაზაყ (მსგავსად ჩვენი დროის „ბოროტების იმპერიისა“) იწოდებოდა, ეს ხელს არ უშლიდა ამ ადამიანს, როცა იგი ჯერ კიდევ საველე იყო, რომის ძალა გამოეყენებინა ქრისტიანობის წინააღმდეგ, ხოლო პავლედ ქცევის შემდეგაც მისივე მხარდაჭერა ეძენა.

„ათასისთავმა ბრძანა, ზანაკში შეეყვანათ იგი (პავლე) და უთხრა, შოლტის ქვეშ დაეკითხათ, რათა გაეგოთ, რა მიზეზით ყვიროდნენ ასე მის წინააღმდეგ. როცა ღვთისმეტყველებით გახარებეს, უთხრა პავლემ იქვე მდგომ ასისთავს: რა უფლება გაქვთ, რომ გაუსამართლებოდოდ მოლტავთ რომაელ კაცს? ეს რომ ასისთავმა გაიგო, მივიდა ათასისთავთან და მოახსენა: „რას ამბობე? რომაელი ყოფილა ეს კაცი“. მივიდა ათასისთავი და უთხრა: „მითხარი, რომელი ხარ?“ მიუგო: „დაიხ“. — „მე დიდი ფულით მოვიპოვე ეს მოქალაქეობა“. ხოლო პავლემ უთხრა: „მე კი დაბადებით“. და მყისვე მოუმწვენ, ვინც მას დაკითხვას უპირებდნენ. ხოლო ათასისთავს შეეძინდა, როცა გაიგო მისი რომაელობა, მან კი შეაბოკინა იგი“ (საქმე, 22:24-29).

პური, ღვინო და ზეთი

ევერიპლედს დრამაში „ბახუსის ქალები“ მისანი ტირე ზია ეუბნება დიონისეს უარყოფელ პეითესს:

„ორი ღმერთია, კაცთა მოდგმას რომ ასაზრდოებს: ერთი — დემეტრე, დედამინა, მშრალით მკვებავი, მერმე მოვიდა დიონისე, ვინც ყურმის მტევანს წვენი ადინა, განაჩინა ჩვენიდა სასმელად, რომ დაგვიამოს ნუთისოფლის მწარე გნებანი“.

დემეტრეს მშრალი საკვები პურია, დიონისეს სასმელი — ღვინო. ბიბლია მესამეს უმატებს — ზეთს.

„ნაყოფისაგან იფქლისა და ღვინისა და ზეთისა მათისა განმრავლდეს“ (ფსალმ. 4:8).

„რომელმან გამოიღო პური ქუეყანით. ღვინომან ახაროს გული კაცისა, საცხებელმან მხიარულყვის გული კაცისა“ (ფსალმ. 103:14-15).

ბიბლია ამასაც ამბობს:

„ცოლი შენი ვითარცა ვენახი მსხმოიარე კიდეთა სახლისა შენისათა; შეილი შენი ვითარცა ახალწერილი ზეთისხილისანი გარემოქვს ტაბლისა შენისა“ (ფსალმ. 127:3).

უგარტულ მითოსში ნაყოფიერების ღმერთს, რომელიც შეიძლება იდენტური ყავლის შემდეგ ქვეყანაში ბრუნდება, სამი ქალწული პური, ღვინო და ზეთი ეგებება.

მართლაც, რისგან შედგება ადამიანის საზრდო? პურისგან, ღვინისგან და ზეთისგან. მინის რომელი ნაყოფებია, რელიგიური სიმბოლიზმით რომ დაიტვირთა ძველთაგანვე? პური, ღვინო და ზეთი.

ადამიანის საზრდო ამ სამ სუბსტანციამდე დაიყვანება. ამ სამი მარტივი ელემენტისგან, სურვილის შემთხვევაში, თუკი მჭამელ არსებას მოსწონებდა ერთფეროვნება, შესაძლებელია აურაცხელი კურდის შექმნა. მაგრამ ადამიანი მისი შესაქმის ჩანაფიქრში არ იყო მჭამელი არსება (ხორცის ჭამაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი). მაგრამ მან მჭამელად გადააქცია თავისი თავი. თანამედროვე ადამიანმა თავისი დაუმრეტელი გასტრონომიული ფანტაზიის ნყალობით სმა-ჭამა ხელოვნებამდე აიყვანა, ფიზიოლოგიური აქტი ეს-თეტიკად აქცია.

რას ვპირობთ ამ კვირაში? რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი



არ ილ ე ვ ი

რა მისია ჰქონდა დაკისრებული ბილყამს? რამ-ბამი თვლის, რომ ამ მისიის დანიშნულება ისეთივე იყო, როგორც ყესავის ანგელოზისა იაყაკოვთან მისი ბრძოლისას. გამჩენს სურდა, რომ ისრაელს არაებრაელი წინასწარმეტყველის ბაგეთაგან მიე-ლო კურთხევა. იბნ ყეზრა კი თვლის, რომ არავი-თარი ძალა არ ჰქონდა არც მის წყევლას და არც მის კურთხევას. ბილყამი უბრალოდ ვარსკვლავთ-მრიცხველი იყო და იცოდა ადამიანთა „მაზალი“ (ბედ-ილბალი). როცა ხედავდა, რომ რომელიმე ადამიანს ცუდი „მაზალი“ ჰქონდა, სწორედ მას სწ-ყველიდა. იბნ ყეზრა თვლიდა, რომ ბილყამი მატყუ-არა იყო და მას არ შეეძლო ებრაელების დაწყევლა. ამის გაკეთება ბილყამს იმიტომაც არ შეეძლო, რომ ებრაელებს ჰქონდათ „მაზალ ტოვ“-ი (კარგი ბედ-ილბალი), და საერთოდაც, ჩვენ ყველანი ბედ-ილ-

ბალზე მალა ვდგავართ. მაგრამ გამჩენმა იცოდა, რომ ებრაელები შესცოდავდნენ კერპის ბაალ პეო-რის მეშვეობით და არ სურდა, რომ სხვა ხალხებს ამის მიზეზად ბილყამის წყევლა დაესახელებინათ, რომ მისი წყევლის შედეგად ჩნდება ჭირის ეპი-დემია (მაგეფა). სწორედ ამიტომ არ სურდა გამ-ჩენს, რომ ბილყამს დაეწყევლა ებრაელები. აბარ-ბანელი თვლიდა, რომ თუ არაებრაელი წინასწარმ-ეტყველი აკურთხებდა, დალოცავდა ებრაელებს, ეს სხვა ხალხებს დააშინებდა და ამით უფრო გაად-ვილდებოდა მათი დაპყრობა. მაგრამ ბალაკს ეგო-ნა, რომ ბილყამი ჯადოქარი იყო და გასამრჯელოს მიღების შემდეგ შეძლებდა ებრაელთა დაწყევლას. ბილყამს კი ებრაელთა დაწყევლა ბალაკზე მეტად სურდა, რადგანაც სძულდა ისინი.

რატომ დაინყო ლაპარაკი სახედარმა? რამბამის აზრით, ეს წინასწარმეტყველური ხილვა იყო, სფორნო კი თვლის, რომ ეს მოხდა ბილყამის „თე-შუბაზე“ მოსაყვანად. რაბინუ ბახეი სთვლის, რომ ეს საჭირო იყო ბილყამის დასამცირებლად, რათა ეჩვენებინათ, რომ სახედარიც კი არ უჯერებს მას.

რატომ არ გაუშვა გამჩენმა ბილყამი თავიდან ებრაელთა დასაწყევლად? შემდეგ რატომღა დარ-თო ნება? რამბამის მიხედვით პირველად მას წასვ-ლა კი არ აუკრძალა გამჩენმა, არამედ – დაწყევლა. ამასთან, არის ასეთი წესი, როცა ადამიანს სურს რაიმე გზით სიარული, მას კი არ უშლიან, პირიქით, ამ გზაზე სიარულში ეხმარებიან. რამის მიხედვით, როცა გამჩენი ბილყამს ეუბნება „თუ შენს დასაძა-ხებლად, „ანუ შენს საკეთილდღეოდ“, მოვიდა ეს ხალხი, წადი“, ბილყამი უნდა მიმხვდარიყო, რომ გამჩენს არ სურდა მისი წასვლა. ამისათვის გაგ-ზავნეს ანგელოზი ხმლით, რომელიც გზაზე გა-დაელოდა მას. მაგრამ ბილყამმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ მიხვდა. სწორედ ამის გამო გაუგზა-ვნა მას გამჩენმა რისხვა - „აჟ ჰაშემ“ (გამჩენის რისხვა). აქედან კი ბრძენებმა (კურთხეულია მათი ხსოვნა) დაასკვნეს, რომ „ადამიანი იმ გზით დაყ-ავთ, რომელზედაც მას სურს სიარული“. სწორედ ამიტომ გამჩენმა თავიდან შეაჩერა ბილყამი - „არ წახვიდე“, ხოლო შემდეგ უთხრა - „წადი“ და მხ-ოლოდ ამის შემდეგ „...განრისხდა გამჩენი“. აქე-

დაც უნდა მივხედეთ, რომ გამჩენის თანხმობა ნიშ-ნავს თანხმობას იმაზე, რომ ბილყამს „არჩევანის თავისუფლება“, (ბხირათო ნაფშით) აქვს.

ბილყამი ოთხჯერ აკურთხებს ებრაელებს:

„აი (ჰინე), ხალხი, მარტოობაში ცხოვრობს, და ხალხთა შორის არ ითვლება“, – იბნ ყეზრას მიხედ-ვით, ეს ხალხი ახლაც და მუდმივად მარტოობაში იქნება. ყველა სხვა ხალხი შეერევა ერთმანეთს, შეიცვლიან კანონებს, და თუ ებრაელი ხალხი იქნება ერთადერთი, ვინც თორის კანონებს უერთ-გულეებს, მაშინ ვერავინ აჯობებს მათ. რამბამი და აბარბანელი ხაზს უსვამენ, რომ ერები იცვლიან რელიგიებს და ერთადერთი ერი, რომლისათვისაც ერთი ეროვნება და რელიგია – ებრაელები არიან. სიტყვაში „ჰინე“ შედის ორი ასო (ებრაული დამწ-ერლობის მიხედვით) – „ჰეი“ და „ნუნი“, რომლებიც არ უწყვილდებიან არც ერთ ასოს (ჰეის გემატრია - რიცხვობრივი მნიშვნელობა - არის 5. თუ დავითვ-ლით ცხრამდე, რიცხვი ხუთი არ უწყვილდება არც ერთ რიცხვს – მაგ. 1 უწყვილდება 9-ს, 2 – 8-ს და ა. შ. ასევეა „ნუნი“, რომლის გემატრია არის 50, ოთხ-მოცდაცხრამეტამდე დათვლისას ასევე ყველა რიცხვი წყვილდება, გარდა 50-ისა. მაგ. 1 და 99; 2 და 98 და ა. შ.).

მეორე კურთხევა არის დაპირება, რომ გამჩენი არ გადაუხვევს სიტყვიდან „მისცეს ისრაელის მიწა ებრაელებს“.

„რა მშვენიერია შენი კარვები, იაყაკოვ“ – („მა ტოვუ ოჰალეხა იაყაკოვ“). რამბამის მიხედვით უდაბნოში კარვები ებრაელთა საცხოვრებელია. ბრძენთა (კურთხეულია მათი ხსოვნა) მიხედვით, კარვებში შესასვლელი ერთმანეთის პირდაპირ არაა განთავსებული, რათა ებრაელებმა ერთმა-ნეთს არ უთვალთვალონ. არიზალის მიხედვით ეს თორის კარვებია და „ყემეკ დავარის“ მიხედვით ვსწავლობთ, რომ ეს არის საზოგადოებრივი და თორის ბრძენების შეკრებები.

მეოთხე კურთხევაში ბილყამი ახერხებს მოა-ბელებისათვის რჩევის მიცემას იმის შესახებ, თუ როგორ შეავინროვონ ებრაელები. მასში ასევე ჩა-დებულია წინასწარმეტყველება მაშიახის შესახებ.

„საქართველო – ისრაელის ურთიერთობათა კვ-ლევისა და განვითარების ინსტიტუტის“ მიზანია ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების თვისო-ბრივად ახალ, პარტნიორულ და ურთიერთსასარგე-ბლო ხარისხში აყვანა.

საქართველო და ისრაელი თავისი გეოპოლიტი-კური მდებარეობიდან გამომდინარე წარმოადგენენ ერთმნიშვნელოვნად პროგრესულ ელემენტს რე-გიონში.

ასეთი ორი ქვეყნის ურთიერთობა მეტად მნიშ-ვნელოვანია რეგიონალური უსაფრთხოების განვი-თარების თვალსაზრისით.

რეგიონალური უსაფრთხოების სფეროში თანამშ-რომლობა თავის თავში მოიცავს სახელმწიფო დონე-ზე სინქრონიზირებული მიდგომების შემუშავებას თავდაცვის, ეკონომიკის, სამეცნიერო და კულტურ-ის სფეროებში.

მიზნების მისაღწევად ინსტიტუტი მუშაობს რამ-დენიმე მიმართულებით:

- 1. საერთო საფრთხეების დადგენა, მათი ნეიტრალ-იზაციის გზების ძიება და ცხოვრებაში გატარება.
2. ინსტიტუტის მიხედვით რთულ და ფეთქებადსა-შიმ რეგიონში გადაარჩენისა და განვითარების ოპტიმ-ალურ გზას მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა წარმოადგენს.
ინსტიტუტი მხარს დაუჭერს ერთობლივ ეკონომი-კურ პროექტებს და თანამშრომლობას უახლესი ტე-ქნოლოგიების განვითარების სფეროში. აგრეთვე სა-მეცნიერო კონტაქტების ინტენსიფიცირებას.
3. ტრადიციულად ახლო კულტურული კონ-ტაქტების კიდევ უფრო გაძლიერებასა და გაღრმავე-ბას.

ამ მიზნით ინსტიტუტი თანამშრომლობს საქარ-თველოსა და ისრაელის პოლიტიკურ, სამეცნიერო და ბიზნეს წრეების წარმომადგენლებთან. ინსტიტუტი ღიაა თანამშრომლობისათვის ყველა დაინტერეს-ებულ ორგანიზაციასა, თუ კერძო პირთან.


საინიციატივო ჯგუფის სახელით იოსებ (სოსო) ზაალიშვილი

ეპრაელების წინააღმდეგ ომი მიმდინარეობს

მფლობელი მედიაიმპერიისა News Corporation — ავსტრალიელი მეწარმე, მედია-მაგნატი, ა.შ.შ-ში, ავსტრალიაში, ლათინურ ამერიკასა და აზიაში კინოკომპანიისა და გამომცემლობის მფლობელი რუპერტ მერდოკი ამ კვირას საზეიმო ცერემონი-აზე, რომელსაც ყოველწლიურად ატარებს ნიუ-იორკში ანტიდიფამაციონალური ლიგა სიტყვით გამოვიდა. ავსტრალიელმა მედიამაგნატმა გა-ნაცხადა, რომ „ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოში, სა-დაც ებრაელების წინააღმდეგ ომი მიმდინარეობს“. მერდოკის სიტყვებით, ებრაელების წინააღმდეგ ომი ახალ ეტაპზე გადავიდა: „პირველ ეტაპზე ის-რაელის განადგურებას ომის მეშვეობით ცდი-ლობდნენ. მეორე სტადია გახდა ტერორიზმი, რომ-ლის მიზანია ებრაელების არა მარტო ისრაელში, არამედ მთელ მსოფლიოში განადგურება იყო.“ მან ხაზი გაუსვა იმას რომ „ტერორიზმის გამო ებრაელების ტანჯვა გრძელდება, თუმცა ამან ის-რაელის მთავრობა ვერ გატეხა“.

მერდოკმა განაცხადა, რომ ებრაელების წინააღ-მდეგ ომის მესამე ეტაპი ისრაელის წინააღმდეგ კამპანია, მისი დელიგიმიტიზაცია იყო. „ჩვენ კუ-რიოზულ სიტუაციას შევჩვენეთ: ებრაული სახ-ელმწიფო საზოგადოებრივი დევნის საშიშროების წინაშეა, ამავე დროს ირანი, რომელიც მსოფლიოს ისრაელის განადგურების შესახებ მოუწოდებს, ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს“. მერდოკი უკმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ ან-ტისემიტიზმი თანამედროვე სამყაროში ხშირად ხდება, განსაკუთრებით კი ევროპაში. „მსოფლიო თვალს ადევნებს, თუ როგორ შორდება ისრაელს თავისი ყველაზე კარგი პარტნიორი ა.შ.შ.“ თავის გამოსვლაში მერდოკმა ამერიკელი ეკონომისტის ლოურენს სამერის სიტყვები მოიშველია: „თუ ადრე ანტისემიტიზმი ტრადიციულად გაუნათლე-ებელი პოპულისტიკის შეხედულებად ითვლებოდა, ახლა ანტისრაელური შეხედულება პროგრესულ ინტელექტუალებს შორისაა გავრცელებული.“ მე-დიამაგნატის სიტყვებით, ანტისემიტიზმი ევროპის როგორც მალალ ემელონებში, ასევე ჩვეულებრივ საზოგადოებაში ღებულობს მხარდაჭერას.

მერდოკმა შევდეთის ერთ-ერთი ქალაქის მერი მალემ ილმარ რუფალო სიონიზმისა და ანტი-სემიტიზმის გაიგივებაში დაადანაშაულა. ოპერა-ციის „ლითოგრაფიული ტყვიის“ დროს ამ შევდურ ქალაქში არეულობა, ისრაელიდან საჩოგბურთო გუნდის ჩასვლას მოჰყვა. მაშინ რიფალომ განაცხა-



და, რომ „მალმის ებრაული თემი უნდა გამოეყოს ისრაელში ღაზას სექტორში მიმდინარე ამბებს“.

ამერიკულ-ისრაელურ ურთიერთობების შე-ფასებისას მერდოკმა თქვა: „ზოგიერთი თვლის, რომ თუ ა.შ.შ-ს სურვილი აქვს მუსულმანურ სა-მყაროსთან ჰქონდეს კარგი ურთიერთობა, მაშინ აუცილებელია ისრაელთან დისტანცია დაიჭიროს. მე სანაწინააღმდეგო შეხედულება მაქვს. ისრაელ-სა და ა.შ.შ-ს შორის ცუდი ურთიერთობა ჩვეუ-ლებრივ პალესტინელების მდგომარეობას უფრო დაამძიმებს. მშვიდობა, რომელსაც ყველა ასე ელის, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისადგურებს, თუ ისრაელი თავს უსაფრთხოდ იგრძნობს და არა მაშინ, როდესაც ამერიკა ისრაელთან დისტანციას დაიჭერს.“

მერდოკმა სიონისტი ლიდერის ვლადიმერ ჟა-ბოტინსკის სიტყვები მოიშველია, „ებრაელები თავს უსაფრთხოდ მხოლოდ ისტორიულ მიწაზე დაბრუნების შემდეგ იგრძნობენ“. რუპერტ მერდო-კის გამოსვლა ანტიდიფამაციურ ლიგაში ყველაზე გამორჩეული იყო.

„დღეს, მსოფლიო XX საუკუნის 30-ანი წლებთ-ან შედარებით ძალიან შეცვლილია. მუქარა, რომელსაც დღეს ებრაელები ეჯახებიან განსხ-ვავებულ ხასიათს ატარებს. ისრაელის წინააღმდეგ მუქარა იმავე საშინელი ენით არის გამოთქმული, რომელიც ყველასთვის ცნობილია. ებრაელების წინააღმდეგ ომი გრძელდება“ — დაასრულა მე-დიამაგნატმა.

რა ხდება ებრაულ სამყაროში? ჩინებული მოღვაწე მაშკევიჩი მიდის?

დასავლეთში დიასპორის ლიდერები მკითხაობენ, თუ რამ გამოიწვია ალექსანდრე მაშკევიჩის ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომა. წყარო ასტანიდან, რომელიც მის ბიზნეს საქმიანობაზე საუბრობს აცხადებს, რომ მამხდარის მიზეზები ყაზახეთში უნდა ვეძებოთ.

„იგი ასეთი არასოდეს მინახავს, ცხადზე ცხადი იყო, რომ იგი ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა“ — ამბობს ინგლისურენოვანი დიასპორის წარმომადგენელი, რომელიც მაშკევიჩის მსოფლიო ებრაულ კონგრესზე შეხვდა. მისი თქმით, შეხვედრაზე ყველა, კონგრესის პრეზიდენტი რონი ლაუდერთან ერთად, ცდილობდა გაეგოთ თუ რა იყო მაშკევიჩის თანამდებობიდან წასვლის მიზეზი. თუმცა, ამ კითხვაზე მათ ერთმნიშვნელოვანი პასუხი ვერ მიიღეს. „მაშკევიჩმა განაცხადა, რომ ეს რალაცნაირად მის ბიზნესს უკავშირდება, თუმცა დეტალებს არ ჩაღრმავებია“ — დაამატა იმავე წყარომ. ლიდერები, რომლებიც მაშკევიჩის კონკურენტებად ითვლებოდნენ, ფიქრობენ, რომ მის თანამდებობიდან გადადგომას ფარული მიზეზები გააჩნია, მაგრამ ვერ ხვდებიან ამ მიზეზებს. ამასთანავე გამოითქვა მოსაზრება, რომ მაშკევიჩის ეს ნაბიჯი საგრძნობლად განამტკიცებს ევროპის ებრაული კონგრესის პრეზიდენტის ვიჩქესლავ (მოშე) კანტორის პოზიციებს. ბოლო წლებში ევროპის დიასპორებში გავლენის მოსაპოვებლად ისინი ძირითადი კონკურენტები იყვნენ.



რომის პაპთან ერთად

ოფიციალური ვერსიით, მაშკევიჩმა ეს გადაწყვეტილება „ბიზნესისთვის უფრო მეტი ყურადღების დათმობის გამო მიიღო“, დასავლეთის ზოგიერთმა ებრაელმა მოღვაწემ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ბოლო კვირების განმავლობაში ჰოლდინგ Eurasian Natural Resources Corporation PLC (ENRC) მიმართ არაერთგვაროვანი შეფასებები გაისმა. ეს სტრუქტურა ბუნებრივი მინერალების გადამამუშავებაში ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა. იგი ENRC -ის აქციების 14,59%-ს ფლობს. ცოტა ხნის წინ დირექტორთა საბჭო ერთობლივად ოთხმა ადამიანმა დატოვა. 13 ივნისს The Sunday Times ჰოლდინგის 19,5 მილიარდ დოლარად ყიდვის შესახებ გვამცნო. Glencore International მყიდველად დასახელდა, თუმცა ერთი დღის შემდეგ ამ კორპორაციამ თქვა, რომ „ყიდვის შეთავაზებას არ განიხილავს“. ამ გზავნილით ცხადი გახდა, რომ წინადადება ჰოლდინგის გაყიდვის შესახებ Glencore International -დან არ მოდიოდა.

ასტანაში საინფორმაციო წყაროების აზრით, მთელი სიტუაცია მაშკევიჩის გარშემო, ყაზახეთში პოლიტიკური სიტუაციითაა განპირობებული. ცოტა ხნის წინ პრეზიდენტი ნაზარბაევს, რომელიც წლების განმავლობაში მაშკევიჩის მფარველად

ითვლებოდა, 71 წელი შეუსრულდა. იგი აპრილში მეოთხედ აირჩიეს პრეზიდენტად. იმავე წყაროების ცნობით, მაშკევიჩის გარშემო ატეხილი ამბავი, სწორედ ამ ამბების მიზეზია. ყველა ფიქრობს თუ როგორ განვითარდება სიტუაცია.

რამდენი დაუჯდა მაშკევიჩის ევრაზიული ებრაული კონგრესი?

ათი წლის განმავლობაში ყაზახი მაგნატი და ისრაელის მოქალაქე ალექსანდრე მაშკევიჩი ქველმოქმედებაში ყოველწლიურად მილიონობით დოლარს ხარჯავდა.

ევრაზიის ებრაული კონგრესის შექმნის დღიდან — (2002 წელი) მაშკევიჩის პრეზიდენტობიდან გადადგომამდე, ყაზახი მაგნატი კონგრესისთვის ყოველწლიურად მილიონ დოლარს გამოყოფდა. ამის შესახებ პორტალ izrus-ის ხელმძღვანელობის ერთ-ერთმა წევრმა განუცხადა. მისი სიტყვებით, მთელი ამ ხნის განმავლობაში კონგრესის წლიური ბიუჯეტი დაახლოებით 2 მილიონი დოლარი იყო. მთელი თანხა გროვებოდა მაშკევიჩის და ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტების სახსრებისაგან, თითოეულ მათგანს ყოველწლიურად ბიუჯეტში 100-100 დოლარი უნდა შეეტანა.

ეს თანხა ხმარდებოდა კონგრესის სხვადასხვა პროგრამების განხორციელებას ისრაელსა და დიასპორის ქვეყნებში. ასევე, კონგრესის კონფერენციებისა და ფორუმების გამართვას მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში და ერთჯერად საქველმოქმედო აქციებს.

ამავე წყაროს სიტყვებით, როდესაც 20 ივნისს მაშკევიჩმა კონგრესის პრეზიდენტის სკამი დატოვა, ისიც დაამატა, რომ არ აპირებს მომავალში ამ ორგანიზაციის ხარჯების დაფარვას.

„ბევრი თანამდებობის პირი, რომელიც ათი წლის მანძილზე მაღალ ხელფასს იღებდა, მთელ მსოფლიოში კონგრესის ხარჯებით მოგზაურობდა, მაღალი დონის სასტუმროებში ცხოვრობდა, ახლა მაშკევიჩზე ნაწყენები არიან“ — დაასრულა ჩვენმა თანამოსაუბრემ.

მაშკევიჩის შემცვლელის არჩევნები სექტემბერშია დანიშნული. მთავარ კანდიდატად რუსული მეტალურგიის მაგნატი ალექსანდრე ბრონშტეინი მიიჩნევა. ყოველ შემთხვევაში კონგრესის პრეზიდენტის სკამის დასაკავებლად ბრძოლას ნამდვილად არ უნდა ველოდოთ, საეჭვოა ბევრი ადამიანი გამოჩნდეს, რომელსაც იმდენი თანხის დახარჯვა ენდობება კონგრესის სამუშაოდ, რამდენსაც მაშკევიჩი ხარჯავდა. ალ. მაშკევიჩი ჟურნალ „ფორბსის“ მილიარდერების რეიტინგით 287 ადგილზეა. მასზე წერენ, რომ 3,3 მილიარდ დოლარს ფლობს.



ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პირველ ვიცე-პრეზიდენტ მიხეილ მირილაშვილთან ერთად



პრეზიდენტი ნაზარბაევთან ერთად

მაშკევიჩის ჰოლდინგს ლონდონის ბირჟიდან მოხსნას უპირებენ

მართალია, მაშკევიჩმა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტობიდან გადადგომა თავისი ბიზნესისთვის მეტი ყურადღების დათმობის მიზეზით ახსნა, თუმცა მას არ უჯერებენ და ფიქრობენ, რომ ამ მიზეზის უკან რალაც სხვა იმალება.

ჰოლდინგი ერთდროულად დირექტორთა საბჭოს ოთხმა წევრმა დატოვა. ერთ-ერთი ყაზახეთის მთავრობის წარმომადგენელი ედუარდ უტეპოვი იყო, ამის შემდეგ ყაზახეთმა ENRC-ში თავისი წილი 19,4%-დან 11,7%-მდე შეამცირა. 14 ივნისს თანამდებობა დატოვა კომპანიის იურიდიულმა მრჩეველმა რანდალ ბარკერმა.

ახლა კი ცნობილი გახდა ჰოლდინგის კრიზისულ სიტუაციაში ყოფნის დამატებითი მიზეზები. როგორც 28 ივნისს ყაზახურმა რადიო Free Europe-მა გადმოსცა, დირექტორთა საბჭოში შეუთანხმებლობა ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში იკრებდა ძალას. უცნობი ბანკირი, რომელიც ჰოლდინგის აქციებს ლონდონის ბირჟაზე ათავსებდა ამბობს: „დირექტორებმა 2009 წელსვე იცოდნენ, რომ უუნარო საბჭოში მუშაობდნენ“. ამ ფონზე The Daily Telegraph-ის ცნობით დიდი ბრიტანეთის ფინანსური სამსახური წნევის ქვეშე აღმოჩნდა და გადაწყვიტა გადაეხედა ENRC-ის აქციების ბირჟაზე განთავსების უფლებაზე.

Eurasian Natural Resources Corporation PLC დაკავებულია ქრომის, მარგანეცის და რკინის მოპოვებითა და გადამამუშავებით, ასევე ალუმინის წარმოებისთვის საჭირო მინერალების მოპოვებით და კობალტის წარმოებით; ნახშირწყალბადის მოპოვებითა და ელექტროენერჯის წარმოებით; კომპანიის აქტივების ძირითადი ნაწილი ყაზახეთში მდებარეობს. ფლობს: Xinjiang Tuoli Taihang Ferroalloy Company 50%-ს ჩინეთში. ასევე ფლობს აქტივებს კობალტის წარმოების სფეროში, რომელიც ძირითადად აფრიკაშია განლაგებული — Central African Mining and Exploration Company (CAMEC) და Chambishi Metals plc. აქციონერები არიან კორპორაცია „ყაზახმისი“ (26%), ალექსანდრე მაშკევიჩი (14,59%), ყაზახეთის პრეზიდენტისა და ფინანსების სამინისტრო (11,7%), ასევე სხვადასხვა კომპანიები და ინვესტორები.

ჰოლდინგის სხვადასხვა ობიექტზე მუშაობს 70,700 ადამიანი მათგან 65,000 ყაზახეთში. 2010 წლის მონაცემებით გადასახადების გადახდამდე ჰოლდინგის მოგება 3 მილიარდ დოლარს შეადგენდა. (2009 წ. — 1,44 მილიარდი დოლარი).

2010 წელს შემოსავლებმა 6,6 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინეს (2009 წელს 3,83 მილიარდი დოლარი).

დაგეგმიკაპლნი და
გამომცემი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
შიპრ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16
8-557
9771987898003